გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N34 (9178) 10 დეკემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

ხელზე ასაღები საშუალო ხელფასი

ჯარისკაცი _ 900 ლარი
პედაგოგი _ 400 ლარი
ექიმი _ 200-500 ლარი
მეეზოვე _ 270 ლარი
ააიპ _ 250 ლარი
პენსია _ 160 ლარი
გამგეობის სამსახურის უფროსი _ 1120 ლარი

საკრებულოს ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარე _ 1400 ლარი



2

## კაცი რომ უნდა ეყოს, იმ ჯამაგირზე

## საკრებულოში იმპიჩმენტი მზადდება?

3

4



სასამართლომ გასაუბრების შედეგები გააუქმა, ანუ "რაც მეკუთვნოდა მივიღე კიდეც!"

6

მათზე ზრუნვა ჩვენი ვალია



სასადილო რომ არ არსებობდეს, გამიჭირდებოდა ცხოვრება

## ვანხონს+ხონვანი=სამტრედიას




5



თამარ ბიბილეიშვილი კვლავ წარმატებულია

# კაცი რომ უნდა ეყოს, იმ ჯამაგირზე

თეა ბაბუნაშვილი

**ამ თემაზე საუბარი ყოველთვის, ახალი ბიუჯეტის მიღების წინ კი განსაკუთრებით, მტკივნეულია. მით უმეტეს, როცა წინასწარ იცი, ყველა იმედი, ბანკომატმა მეტი მოგცეს ხელფასად დარიცხული, გადაწურულია. ავარდნილ-დავარდნილი დოლარი და საარსებო მინიმუმი პირდაპირპროპორციულია საფულეში ისედაც გროშებად ქცეული ბანკნოტების სიმცირისა. ახლა რომ ეცხოვრა, თვით მუშნი ზარანდიას გაუჭირდებოდა თავის მოსაწონებლად ეთქვა, კაცი უნდა ეყოსო მინიმუმის მინიმუმად ქცეულ ამ ჯამაგირს. სანამ მთავრობაში იმაზე დავობენ, ეკუთვნის თუ არა შიმშილის პირას მყოფი მოსახლეობის მინისტრებსა და მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებს ისედაც კოლოსალურ ხელფასებს მიმატებული პრემია-დანამატები კანონით, ამ თანხების სიდიდით გაოცებულ-გაკვირვებული და ბოლოს გამწარებული დაბალჩინოსნები და უჩინოები, მწარე ღიმილს გადაყლაპულ ნერწყვს აყოლებენ ხოლმე, რადგან სიტყვის უთქმელადაც ყველაფერი ცხადია. ამდენს, პატიოსანი შრომით და ჩემი ხელფასით, მთელი სიცოცხლე ვერ ვიშოვიო, ხელი ჩაიქნია ახალგაზრდა კაცმა, დღეს მაღალჩინოსანი, საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების თანაკლასელის ერთი თვის სახელფასო სარგო რომ გაიგო. აქ რა მოსატანია ხელჩაქნეულის ოქროს მედალი და წითელი დიპლომი...**

**ასე წერის საღერღელი, ამ წერილის ხელფასის მომატების პერსპექტივამოკლებულ ავტორს, მისი კოლეგების და ყველა დაბალხელფასიანის უიმედო მდგომარეობამ გადააწყვეტინა. ბოდიში მკითხველს პრობლემის კიდევ ერთხელ შეხსენებისთვის და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისთვის!**

საკრებულოს ბოლო სხდომაზე, იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ გამოიტანა საკითხი, რომლის მსჯელობის საგნად გახდას, როგორც თავად აღნიშნა, კარგა ხანია თავს არიდებს საკრებულოს ერთი ნაწილი. თუმცა მოთხოვნა კანონიერია, მათ, ვინც თავის არიდებას აპირებდა, მხოლოდ თემის მორალური მხარე აფიქრებდათ. სამი ფრაქცია: ''ქართული ოცნება _ რესპუბლიკელები'', ''ქართული ოცნება _ მრეწველები'' და ''ქართული ოცნება _ ფორუმი'', განცხადებით შევიდნენ საკრებულოში რანგირების თაობაზე. განიხილა იგი კომისიამ და ბიურომ. ''რაღაც პერიოდი ბიუროს შემადგენლობა ვცდილობდით, საქმე საკრებულოს სხდომაზე გატანამდე არ მისულიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. პირდაპირ ითხოვდნენ, მათი ინიციატივა საკრებულოს განეხილა.'' _ ამბობს მანანა სირბილაძე. განცხადებით, რანგირების შესახებ მთავრობის დადგენილების შეხსენება ადგილობრივი საკრებულოსთვის, უპირველესად, სახელფასო განაკვეთის გაზრდას გულისხმობდა. უხერხულობას, საკრებულოს დეპუტატების ერთი ნაწილის აზრით, სწორედ ეს ქმნიდა. დავიწყოთ იმით, რომ საკრებულოს ერთ-ერთ საკითხად გატანილ ამ პროექტს 18 მომხრე და 5 წინააღმდეგი ჰყავდა, 5-მა თავი შეიკავა, 2 დეპუტატი კი საერთოდ არ ესწრებოდა კენჭისყრას. ''მე თავი შევიკავე და მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც იურისტი ვაფიქსირებ, მათი მოთხოვნა რანგირების შესახებ აბსოლუტურად კანონიერია. ვეთანხმები იმასაც, რომ ხელფასები არ გაზრდილა, ჩაჯდა იმ ნორმაში, რაც თავიდან იყო, მაგრამ არსებობს მორალური მხარე! მხოლოდ ამან გამოიწვია ჩემი თავშეკავება. ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის შემხედვარე, არ მიმაჩნია სწორად, ჩინოვნიკმა საკუთარი ხელფასის მატებაზე იზრუნო, თუნდაც მე ვიჯდე იმ სამინისტროში, ვერაფრით დავეთანხმები ხელფასების, პრემიებისა და დანამატების ასეთ განაკვეთს. ეს ძალიან გამაღიზიანებელია. დიახ, სახელმწიფო მოხელესა და ყველა ჩინოვნიკს უნდა ჰქონდეს მაღალი ხელფასი, მაგრამ ამ პრემიებისა და დანამატებისგან შევიკავოთ, რა, თავი! თუ ასეა, პენსიონერს, რომელმაც მთელი ცხოვრება იმუშავა, არ უნდა ჰქონდეს მაღალი პენსია? ფული ყველას სჭირდება, მაგრამ არსებობს მორალი!'' _ ხსნის საკუთარი თავშეკავების მიზეზს მანანა სირბილაძე.

ხელფასი არ გაზრდილა, დაუბრუნდა იმ ნიშნულს, რაც თავიდან, ანუ მაშინ დადგინდა, ადგილობრივი არჩევნების შედეგად საკრებულოს ამ შემადგენლობამ მუშაობა რომ დაიწყო. _ ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა სადავოდ ქცეულ ამ საკითხს. მაშინ ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარეებს ხელფასის სახით 1350, დანამატად კი 500 ლარი ეწერებოდათ. თანხა იბეგრებოდა და ხელზე ასაღები დაახლოებით 1400 ლარი იყო. საკრებულოს რიგით წევრებს, საკრებულოს გადაწყვეტილებით, 600 ლარი დაუწესდათ ხარჯებისთვის. შემდეგ კანონმა განსაზღვრა, რომ მათი ანაზღაურება უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 15% საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასისა. ამ კანონით ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარეებს დანამატები მოეხსნათ და ხელზე ასაღები ხელფასი 1080 ლარი დარჩათ, რიგით წევრებს კი ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა შეუმცირდათ და მან 400 ლარი შეადგინა. მათ ხარჯებისთვის გამოყოფილი ამ თანხის რაოდენობა, არ გაზრდიათ, რანგირების წესის გასწორების შემდეგაც იგივე, 400 ლარი დარჩათ, რადგან პარლამენტის გადაწყვეტილება კვლავ ძალაშია. საკუთარი განცხადებით იმ სამმა ფრაქციამ სწორედ ჩამოკლებული დანამატის აღდგენა მოითხოვა, რის უფლებასაც მათ კანონი აძლევთ.

''მე, როგორც სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ვისაც უშუალოდ აქვს შეხება უაღრესად გაჭირვებულ ადამიანებთან, სიღატაკის ზღვარზე თუ ზღვარს მიღმა რომ ცხოვრობენ, საკუთარ თავს ვერ მივცემდი უფლებას, ხელი ამეწია და მხარი დამეჭირა ჩემი ან ჩემი კოლეგების თუნდაც კანონიერ მოთხოვნაზე ხელფასის მატების შესახებ. საჯაროდ ვაცხადებ, რომ მე ამ დანამატს სახლში არ წავიღებ, დოკუმენტურად დავაფიქსირებ, როგორ და სად წარვმართავ მას.'' _ განაცხადა გოგი ლეჟავამ. იგი საკითხის მოწინააღმდეგეთა ხუთეულშია და სიაც გვაჩვენა, სადაც ეწერა, თუ ვისთვის აპირებდა საკუთარი დანამატის გადარიცხვას.

''ეს ხელფასების მატება არ იყო, გახლდათ რანგირების წესის გასწორება, რომელიც საკრებულომ მიმდინარე წლის იანვარში თავისი გადაწყვეტილებით დაარღვია. ფაქტობრივად, მთელი წელი დაგვჭირდა იმისთვის, რომ ეს დარღვევა გაგვესწორებინა და სამართლე-

**ხელზე ასაღები საშუალო ხელფასი**

**ჯარისკაცი _ 900 ლარი**
**პედაგოგი _ 400 ლარი**
**ექიმი _ 200-500 ლარი**
**მეეზოვე _ 270 ლარი**
**ააიპ _250 ლარი**
**პენსია _ 160 ლარი**
**გამგეობის სამსახურის უფროსი _ 1120 ლარი**

**საკრებულოს ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარე _ 1400 ლარი**

**გაგრძელება გვ 3.**

# გვასწავლით იმას, რაც ზეპირად ვიცით!

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლები, რამდენიმე ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელს ფრაქციის შიგნით გამართულ ბიუჯეტის განხილვაზე შეგნებულად გამოუცხადებლობაში სდებენ ბრალს. ბიუჯეტის განხილვის დროს ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წევრებმა, როგორც მათი ხელმძღვანელი, ემზარ შუბლაძე აცხადებს, მიმართეს საკრებულოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, გაეფრთხილებიათ ააიპებისა და შპსების ხელმძღვანელები, ფრაქციის სხდომაზე ბიუჯეტზე სასაუბროდ გამოცხადებულიყვნენ. ამასთანავე, საქმის კურსში ჩაეყენებიათ საკრებულოს ხელმძღვანელობა. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისგან იცოდნენ, რომ ორივე მათი მოთხოვნა შესრულებული იყო. '' პირველ დღეს განხილვაზე რამდენიმე ორგანიზაცია მოვიდა. ვიკითხეთ მიზეზი და გვითხრეს, რომ წერილობით უნდა მიგვემართა საკრებულოს თავმჯდომარისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს გავაკეთეთ, მაგრამ არც მერე არ მოსულა ბევრი.'' _ ამგვარი განცხადება ჟურნალისტებამდე ემზარ შუბლაძემ საკრებულოს სხდომაზეც გააკეთა. იგი არ გამორიცხავს, მათ ''ნაციონალების'' ფრაქციის სხდომაზე არმისვლის დავალება ხელისუფლებისგან ჰქონდათ მიღებული. ''პირველ დღეს განხილვაზე მოვიდა მხოლოდ 7 ააიპი და შპსე. მითითებისამებრ საკრებულოს თავმჯდომარისადმი განცხადებით მიმართვის შემდეგაც არ ყოფილა განსაკუთრებული აქტიურობა. ეჭვის საბაბს, რომ მათი ხელმძღვანელები გაფრთხილებული იყვნენ, არ მოსულიყვნენ, რამდენიმე სატელეფონო ზარი გვაძლევს. ჩვენი ფრაქციის წევრი თავად დაუკავშირდა ერთ-ერთი ააიპის ბუღალტერს და საუბრის დროს ტელეფონში გაიგონა ამ ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის სიტყვები, უთხარი, რომ ვერ მივალთ, არ გვცალიაო. ფრაქციის სხდომაზე არ გამოცხადდა შპსე ''სპორტკომპლექსი'', ააიპი ''სპორტსკოლა'', ააიპ ''საცხენოსნო კლუბი'' და კიდევ რამდენიმე. ააიპ ''ფალავანი'' მოვიდა, თუმცა დაგვიანებით და უკვე დრო არ გვქონდა მათი მოთხოვნების ჩვენს პროექტში გათვალისწინებისა.'' _ აცხადებს უმცირესობის ლიდერი. მან საკრებულოს სხდომაზეც აღნიშნა, ''ვაპირებთ დავაყენოთ მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი. თუ ვინმეს ჰგონია ''ნაციონალური მოძრაობის'' ფრაქციის სხდომის უგულებელყოფა პლუსია, ან კანონიერი, ძალიან სცდება. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევა. ფრაქციას და მის ხელმძღვანელს კი არა, საკრებულოს ნებისმიერ წევრს შეუძლია ნებისმიერი ააიპის და შპსეს ხელმძღვანელი დაიბაროს ამა თუ იმ საკითხზე სასაუბროდ. მანაც მის კითხვებს უნდა უპასუხოს.'' უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის რეპლიკა, ''რაის საკითხის დამყენებლები ხართ, თქვენ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დააყენოთ'', მის ამ განცხადებას მოჰყვა. შელაპარაკება მალევე დასრულდა.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ ოპოზიციური პარტიის დამოკიდებულებას, ფრაქცია ''ნაციონალებს'' საკუთარი მოსაზრებები აქვთ. ''ჩვენი ინიციატივა არის, მოხდეს დაბალანაზღაურებადი ააიპების ხელმძღვანელების ხელფასების გატოლება მაღალანაზღაურებადი ააიპების ხელმძღვანელების ხელფასებთან. შესაბამისად, ბუღალტრების და სხვა თანამშრომლების ხელფასებზეც გვქონდა შენიშვნები. გარდა ამისა, ვითხოვთ ბიუჯეტში 70 ათასი ლარის გათვალისწინებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრის შესაქმნელად. ''ნაბიჯი სამტრედია'' _ ასეთი ორგანიზაცია უკვე არის დაფუძნებული, რომელსაც ფართი თავად აქვს გამოძებნილი. ვნახოთ, გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენს შენიშვნებს.''

თუ ასეთი ფაქტი მართლა მოხდა, კითხვაზე, ხომ არ არის ნაცნობი სიტუაცია ''ნაციონალური მოძრაობისთვის'', ოპოზიციასთან გამოუცხადებლობაზე სხვადასხვა ორგანიზაციების გაფრთხილება, ემზარ შუბლაძე პასუხობს: ''ჩემი თავმჯდომარეობის ექვსწლიანი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ფრაქციას ჩვენთვის მოემართოს და პასუხი არ მიგვეცეს. თვეში ერთხელ მოგვმართავდა მაშინდელ საკრებულოში არსებული ოპოზიციური ფრაქცია და სხდომის ოქმიდან დაწყებული, ბრძანებებით დამთავრებული, ყველა დოკუმენტს ვაძლევდით. კანონი გვავალდებულებდა, თუ ამგვარი მოთხოვნა ამ ფრაქციას ექნებოდა, შეგვესრულებინა, მაგრამ არც ერთხელ მაშინდელ ოპოზიციურ ფრაქციას მოთხოვნა, ბიუჯეტის განხილვისა ცალკეულ ორგანიზაციებში, არ დაუყენებია. მხოლოდ დოკუმენტაციას ითხოვდნენ, იგივე ხელფასებთან დაკავშირებით თუ სხვა საკითხებზე და ყოველთვის ვადების დაცვით ილებდნენ პასუხს სათანადო წესით. ამის ინიციატივას თუ გამოიჩენდნენ, კანონით ვერ წავიდოდით წინააღმდეგი, მაგრამ თავად არ ჰქონიათ ასეთი სურვილი. არასდროს, არც საკრებულოს თავმჯდომარედ, არც მოადგილედ, შემდეგ გამგებლად მუშაობისას კანონი არ დამირღვევია. ძალიან ცდილობენ იპოვონ ასეთი დოკუმენტი, მაგრამ დღემდე ვერ იპოვეს.''

უმცირესობის ლიდერის გადმოსახედიდან, ყოფილი უმრავლესობის ლიდერი ამგვარ განცხადებებს აკეთებს. სიტუაციები მედიისთვის ნაცნობია, კარგად ნაცნობიც კი. ასეთი გამოცდილება სწორედ წინა ხელისუფლებისგან აქვს მიღებული. ამის დასტურად, კიდევ ერთი საყურადღებო ფრაზა ოპოზიციური სპექტრისა, საკრებულოს იმ სხდომიდან _ გვასწავლით იმას, რაც ზეპირად ვიცით, _ საუბარი მოულოდნელად გამოცხადებულ შესვენებასა და მის შემდეგ დარბაზში ორი წევრის შემოუსვლელობას ეხებოდა, სადვო საკითხის განხილვის წინ.

ოპოზიციური ფრთა და ''რესპუბლიკელების'' ლიდერი უკვე არაერთი სხდომაა, გამგებლის მიერ ანგარიშის ჩაბარებას ითხოვს საკრებულოსთვის. როგორც აღნიშნავენ, ამ საკითხთან დაკავშირებით წერილობითაც კი მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარეს. პასუხითაც, მოვიდოდა თუ არა, ან რატომ არ მოვიდოდა გამგებელი საკრებულოს სხდომაზე, არაერთხელ დაინტერესდნენ. მიმდინარე წლის 10 თვის ბიუჯეტის შედეგებზე საუბრისას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესთან დარბაზში კითხვები არავის ჰქონდა. შალვა არზუმანიანთან ერთად, ნუგზარ ჯამბურიამ მათზე პასუხის გამცემად, თავდაპირველად დარბაზში მყოფ საფინანსო სამსახურის გამოცდილ თანამშრომლებზე, ხოლო შემდეგ საფინანსო სამსახურის უფროსზე მიუთითა საკრებულოს წევრებს. ოპოზიციისგან პასუხად მიიღო, რომ კითხვას გამგებელს დაუსვამდნენ, აქ რომ ყოფილიყო.

ვალერი ფოცხვერიას კი პასუხი კითხვაზე, უნდა მივიდეს თუ არა გამგებელი საკრებულოს სხდომაზე ანგარიშით, მზად აქვს. მას ეს კანონიერ მოთხოვნად მიაჩნია: ''გამგებელი აუცილებლად ჩააბარებს საკრებულოს ანგარიშს. ეს ჩემი სურვილიც არის. სხვათა შორის, სხდომებზე დასწრების ტრადიცია მინდა დავამკვიდრო, მით უმეტეს, რომ კანონი ამას ითვალისწინებს. წესი ასეთია, საკრებულო წერილობით მიმართავს გამგეობას, თუ რამე მიზეზით გამგებლის სხდომაზე დასწრება საჭიროა. ჩემთვის აქამდე არავის მოუმართავს.''

ერთი სიტყვით, ზოგიერთები მოწინაალმდეგისთვის ნაცნობი წესებით თამაშობს, ვიღაცა ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ცდილობს, ხელის აწევით ზოგი თანხმობას, ზოგი პროტესტს აფიქსირებს... ნეტა, სოფლის საშენებლად კარგი ბანი არ სჭირდებათ? ამ შემთხვევაში, ბანში ხმის ტემბრიდან დაწყებული ყველაფერი შეიძლება იგულისხმო, მსოფლიო ბანის გარდა!

# საკრებულოში იმპიჩმენტი მზადდება?

## “არ გამოვრიცხავ, საკრებულომ სხვა დროს არჩევანი სხვებზეც გააკეთოს”

ნინო ნანიტაშვილი

***საკრებულოში დაპირისპირებაა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დეპუტატების გარკვეული ნაწილი, კერძოდ სამი ფრაქცია “ქართული ოცნება _ რესპუბლიკელები”, “ქართული ოცნება _ მრეწველები”, “ქართული ოცნება _ ფორუმი”, საკრებულოში ინიციატივით შევიდა, რანგირების წესის დაცვა მოითხოვა. ზემოაღნიშნულ ფრაქციებს მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსებზე რანგით მაღალი თანამდებობები უკავიათ საკრებულოში ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეებს. ამდენად, რანგირების სისტემის მოსაწესრიგებლად მათ დეკემბრიდან ხელფასების მომატება მოითხოვეს.***

დეკემბრამდე სამტრედიაში საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეების დარიცხული ხელფასი 1400 ლარი იყო, ხარაგაულში _ 1650 ლარი, ქუთაისში _ 1700 ლარი, საჩხერეში _ 1750 ლარი. ამ კუთხით ყველაზე მსუყედ ჭიათურა გამოიყურება. იქ კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს 1850 ლარი აქვთ დარიცხული. სწორედ ეს მაგალითი იქნა ჭიათურიდან აღებული.

ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი თავიდანვე გახლდათ “კონსერვატიული პარტიის” ფრაქცია, რაც შემდგომში დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს და კომისიის თავმჯდომარეს, გოგი ლეჟავას აშკარად შეუტიეს. კულუარებში საუბრობენ იმასაც, რომ კობა ძიძიგურსა და გოგი ლეჟავას იმპიჩმენტის მოწყობას უპირებენო.

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მივმართეთ.

კობა ძიძიგური: “ამ საკითხთან დაკავშირებით ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დავაფიქსირე ჩემი დამოკიდებულება. იმ პერიოდში, როდესაც ხალხი უკიდურესად შეჭირვებულია, ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია არანაირი შემოსავალი, საარსებო მინიმუმიც კი, ამავე დროს ააიპ-ში მომსახურე პერსონალს აქვს ძალიან დაბალი ხელფასები, მიმაჩნია, რომ ჩვენ არ უნდა მივცეთ თავს უფლება, ჩვენთვის მოვიმატოთ ხელფასები. პირადად, მე მორალური უფლება არ მაქვს, ამ საერთო გაჭირვების ფონზე მხარი დავუჭირო ამ გადაწყვეტილებას. ამიტომაც წინააღმდეგი წავედი.



ასევე მოიქცა “კონსერვატიული” ფრაქციის თავმჯდომარე რაჟდენ ტორონჯაძე, ფრაქციის წევრი გოგი ლეჟავა, რის გამოც შეიქმნა დაპირისპირებული გარემო. თუმცა, მიმაჩნია, რომ საქმე ისე არ გამწვავდება, რომ საკრებულოში დადგეს ან გოგი ლეჟავას, ან ჩემი თანამდებობიდან წასვლის საკითხი.”

მოსალოდნელი იმპიჩმენტი არ დაგვიდასტურა იმედა გოგავამ. თუმცა ფრაქცია “რესპუბლიკელების” ლიდერმა არც ის გამორიცხა, რომ საკრებულოს წევრებს სხვა დროს არჩევანის გაკეთება სხვებზეც შეუძლიათ: “არანაირ იმპიჩმენტზე საუბარი არ არის. ვთვლი, რომ ეს ნორმალური პროცესია, როცა თუნდაც უმრავლესობის დეპუტატები ცალკეული საკითხების ირგვლივ ერთმანეთს არ ვეთანხმებით. არ უარვყოფ, ბიუროს სხდომაზე იყო ძალიან ცხარე კამათი, რაშიც საბოლოოდ ვერ შევთანხმდით. ბიუროს უფლება არ ჰქონდა დაებლოკა საკითხი. ეს უკანასკნელი საკრებულოს სხდომაზე უნდა გასულიყო. გავიდა და ხმათა დიდი უმრავლესობით საკითხი დადებითად გადაწყდა. ამ ამბავს არავის სკამი არ შეეწირება. თუმცა აღმოჩნდა, რომ, ამ საკითხთან მიმართებაში სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. ის რომ, რანგირების კანონი გასწორდა და ზოგადად ჩარჩოებში მოვაქციეთ, ჩემთვის მთავარია. ის მოტივი, რომ თითქოს თანამდებობის პირებს ხელფასები მოემატათ, არასწორია, რადგან არავითარ მომატებაზე საუბარი არ არის, რომც ყოფილიყო, ამას კანონი არ ზღუდავს.

მას შემდეგ რაც ეს კანონი გავასწორეთ, დეკემბრის ხელფასზე დაგვერიცხება 1850 ლარი.

შევახსენებ კოლეგებს, თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კომისიების და ფრაქციების ხელმძღვანელები საკრებულოს წევრების მიერ არიან არჩეულები და არ გამოვრიცხავ რაღაც ეტაპზე საკრებულოს წევრებმა არჩევანი სხვა დროს სხვებზე გააკეთონ.”

# კაცი რომ უნდა ეყოს, იმ ჯამაგირზე

დასაწყისი გვ 2.

ბრივ ჩარჩოში მოგვექცია, რაც საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა თავისი დადგენილებით რანგირების თაობაზე. მთელი ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს წევრები იღებდნენ იმაზე ნაკლებ ანაზღაურებას, რაც მათ წინა საკრებულოში ან ამჟამინდელ საკრებულოში ჰქონდათ იანვრამდე. თავში არავის მოსვლია აზრად ხელფასების მატება, მაგრამ ვალდებულები ვართ, პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები შევასრულოთ. აგვისტოში, პარლამენტის დადგენილებას, საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის 15%-ის გატოლებაზე ხომ დაეთანხმა საკრებულო, თუ კლებას ეთანხმება, რატომ მატებას არა? მით უმეტეს, რომ ეს მატება არ არის, ძველ, კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე დასტურია. რაც შეეხებათ ააიპებსა და შპსებს, მათი თანამშრომლები საჯარო მოხელეები არ არიან. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მაღალი ხელფასი, იმდენი მაინც, რომ საარსებო მინიმუმს აკმაყოფილებდეს. შეუძლებელია შესაბამისი ანაზღაურების გარეშე, რაც არ უნდა კარგი მოტივაცია გქონდეს, მარგი ქმედების კოეფიციენტი იყოს მაღალი. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ღატაკ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ევროპულ ქვეყნებში ყველაფერი მიდის პრინციპით _ მაღალი პასუხისმგებლობა და მაღალი ანაზღაურება. დიახ, უნდა მოგემატოთ ხელფასები თუნდაც თქვენ, ჟურნალისტებს. მე ვიცი ჟურნალისტების შრომის ფასი, ვიყავი და ვრჩები მოწოდებით ჟურნალისტად. რას ვიტყვით იმაზე, რომ საკრებულოს ფრაქციის და კომისიის წევრზე ორჯერ, ზოგ შემთხვევაში კი სამჯერ მეტი ხელფასი აქვს საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელს, ორჯერ მეტი აქვს უბრალო ჩინოვნიკს საფეხბურთო ააიპ-ში. მე არ ვიცი, რას აკეთებს იქ მწვრთნელის ასისტენტი, ანალიტიკოსი და კიდევ სხვა ამგვარ თანამდებობებზე დასაქმებულები, რომელთაც ძალიან დიდი ხელფასები აქვთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე. თუ ის შეიძლება, რომ 7 ათასი ლარი გადავუხადოთ ფეხბურთის გუნდის მწვრთნელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, განათლების, ჟურნალისტების, კულტურის მოკლების ხარჯზე.... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მიყვარს ფეხბურთი, ისიც მესმის, რომ იგი ძვირადღირებული სპორტია, მაგრამ ყველა სფერო არ უნდა ვანაცვალოთ მას.” _ ეს “ქართული ოცნება-რესპუბლიკელების” თავმჯდომარის, იმედა გოგავას დამოკიდებულებაა იმ საკითხთან, ხმაურის თემა რომ გახდა. მისი ფრაქცია ერთ-ერთია მათ შორის, ვინც განცხადებას ხელს აწერს.



ამავე აზრზეა საკრებულოს წევრი, ფრაქცია “ქართული ოცნება _ მრეწველების” თავმჯდომარე, დავით ამაღლობელი: “ხელფასის მატებაზე საუბარი არ ყოფილა, იმ თანხაზე დაბრუნება მოვითხოვეთ, რაც, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლებამ დაგვახვედრა. 2015 წლის ბიუჯეტში ეს თანხა ისედაც იყო გათვალისწინებული. შეიძლება ითქვას უპრეცედენტო ფაქტის მომხრეც გავხდით იანვრის იმ საკრებულოს სხდომაზე, როცა საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საკუთარი ხელფასების შემცირებას, მსოფლიოში არ არსებობს ასეთი პრაქტიკა. ვეთანხმები ყველა იმას, ვინც თვლის, რომ სხვა ორგანიზაციებში დასაქმებულებსაც უნდა გაეზარდოთ ხელფასები. ბიუჯეტის პროექტი, რომელთანაც ფრაქციებს თავიანთი შენიშვნები ჰქონდათ, დაბრუნებულია გამგეობაში ხელახალი განხილვისათვის. ვნახოთ, როგორი იქნება მისი ახალი ვარიანტი.”

ის, რომ რანგირების კანონის დარღვევა არ გაუპროტესტებიათ განცხადებაზე ხელმოწერით, პირველ რიგში აღნიშნეს “ნაციონალური მოძრაობის” წევრებმა. თუმცა, იქვე დასძინეს, რომ ეს მოთხოვნა კანონის ჩარჩოებში ჯდება და მას ეთანხმებიან. “დეპუტატთა იმ კორპუსის მოსაზრება, ვინც არ დაეთანხმა გადაწყვეტილებას ხელფასების მატებაზე, უბრალოდ, კომუნისტურია. პრეტენზია იმისა, რომ ქართველი ხალხი გაჭირვებაშია და მორალური უფლება არ გვაქვს ხელფასების მატების, არ ეხება ადგილობრივ საკრებულოს. ამაზე მთავრობამ და იმ ჩინოვნიკებმა უნდა იფიქრონ, კოლოსალურ თანხებს რომ იღებენ და ქვეყანა მაინც უკან-უკან მიჰყავთ. მორალური მხარე არის ის, რომ მოქალაქეს ურჩევნია, არ მოპარო ბიუჯეტიდან ფული და მიიღო ანაზღაურება ხელფასის სახით. ამ შემთხვევაში, არ მყავს მხედველობაში ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ ის, რაც ზოგიერთ მუნიციპალიტეტსა და დედაქალაქში ხდება, მეორე უკიდურესობაა. გამგებლები და სხვა ჩინოვნიკები საკუთარი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს ხელოვნურად აგებინებენ ტენდერებს და საბოლოო ჯამში ბიუჯეტის თანხა მათივე ჯიბეებში მიდის. ჩვენ არა მარტო მაღალი თანამდებობის პირებსა და ხელმძღვანელ მუშაკებზე, ყველა იმ პირზე ვითხოვთ ხელფასის მომატებას, ვინც სამსახურებრივად დატვირთულია.” _ ამბობს ემზარ შუბლაძე.

ის, რომ თანამდებობრივი სარგო ძველ ნიშნულს დაბრუნებოდა, დიდი ხანია კულუარებში განსჯის საგანი იყო ადგილობრივ საკრებულოში. ეს საკრებულოს თავმჯდომარემაც დაადასტურა. “ამ გადასახედიდან, როცა ახალი საბიუჯეტო რეგულაციები დასრულებული არ არის, პირველი მოსმენის შემდეგ, შესწორებებისთვის იგი კვლავ დაუბრუნდა გამგეობას და კვლავ განხილვის თემაა, უხერხულიცაა ისაუბრო იმაზე, რა მოთხოვნაც საკრებულოს ზოგიერთ წევრს ჰქონდა. სოციალურ-ეკონომიკური ფონი არაა სახარბიელო. ამიტომ არ მიმაჩნდა სწორად ამგვარი მატება. ეს მხოლოდ მორალურად, თორემ მოთხოვნა კანონიერი გახლდათ. დიახ, ხელფასი ყველას უნდა მოემატოს, მაგრამ ყველას და არა მარტო ცალკეულ ჩინოვნიკებს!” _ ასეთია ნუგზარ ჯამბურიას პოზიცია, რომელიც საკრებულოს სხდომაზე თავშეკავებულთა ხუთეულში ჩაირიცხა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი აცხადებს, რომ თავად ნამდვილად არ გახლავთ ის ადამიანი, ვინც თავს შეიკავებს ნებისმიერი პიროვნების ხელფასის გაზრდაზე, პირიქით. თუმცა, როგორც ამბობს, ამდენის შესაძლებლობა ბიუჯეტს არ აქვს. საკრებულომ თავად მიიღო გადაწყვეტილება და ამაში გამგეობას ჩარევა არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ გადაწყვეტილება უკანონო არ ყოფილა. რაც შეეხება საკრებულოს წევრებზე მომატებულ ხელფასებს მოყოლილ უკმაყოფილებას, რომ ხელფასები სხვა ორგანიზაციებს არ ეზრდებათ, ვალერი ფოცხვერია პასუხობს: “ხელფასების მატება ბიუჯეტის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. მიმდინარე წელს ხელფასი მოემატათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებს, თუმცა არა იმ რაოდენობით, რაც საჭირო იყო. შესაძლებლობებს ამ შემთხვევაშიც ვერ გავექეცით, მატება მხოლოდ 25%-იანი გახლდათ. ამ ტენდენციით მივდივართ და 2016 წელს ხელფასები კომუნალური გაერთიანების თანამშრომლებს გაეზრდებათ. რაც შეეხებათ სხვა ააიპებს, იგეგმება გაბერილი შტატების ოპტიმიზაცია. გამოთავისუფლებული თანხა მოხმარდება სახელფასო ანაზღაურების გაზრდას. ბოლო დროს ხმაურიანი გახდა ფეხბურთის და იქაური ხარჯების თემა. ფეხბურთი სამტრედიის სავიზიტო ბარათია და ის, რაც იქ ხდება, არ არის დამოკიდებული გამგებლის ნება-სურვილზე. ასეთი გახლავთ ხალხის მოთხოვნა, ეს სოციალური პროგრამაა. დაესწარით საფეხბურთო მატჩებს და მიიღებთ იმ გამოკითხვაზე პასუხს, რომელიც გაინტერესებთ. აქვე გეტყვით, რომ მომავალი წლიდან სხვა რეგულაციები შემოდის, რადგან ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და გარკვეულ წილად აქედანაც გამოთავისუფლდება თანხები. ვუსვამ ხაზს, რომ ეს არ არის ვალერი ფოცხვერიას თემა, მე იგი დამხვდა, მაგრამ ფეხბურთი ვალერი ფოცხვერიას ხელში არ მოკვდება! _ ეს მათ გასაგონად, ვინც მხარს უჭერს საფეხბურთო ბიუჯეტის მატებას და მერე ჩემსკენ იშვერს ხელს.”

რანგირების შეხსენება ამჯერად სახელფასო განაკვეთის ზრდის საბაბი გახდა საკრებულოს სხდომაზე. მის გარეთ კი დღემდე აწვალებთ კითხვა, როგორ ეყონ ურანგოები და უჩინოები მშიერ, ბანკების ვალებით, ნისიებით გაღარიბებულ ყოველდღიურობასთან ბრძოლას მათთვის განკუთვნილი ჯამაგირით?

# სასამართლომ გასაუბრების შედეგები გააუქმა, ანუ "რაც მეკუთვნოდა მივიღე კიდეც!"

**ნინო ნანიტაშვილი**

სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე წლის ოქტომბერში სამი პროცესი გაიმართა. დავის საგანი გახლდათ საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მე-3 ეტაპის, გასაუბრების შედეგების ბათილად ცნობა კონკრეტულ ვაკანსიებზე. ცნობისათვის, სასამართლოს სარჩელით მიმართეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მოქალაქეებმა თამილა ახალაძემ, მთვარისა მახარაძემ და მამუკა ნიკოლეიშვილმა.

თამილა ახალაძე მონაწილეობდა კონკურსში მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების სპეციალისტის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში, ვაკანსიაზე. მეორე განაცხადი _ ვაკანსიაზე იმავე სამსახურის საბუღალტრო აღირცხვის სპეციალისტი ფინანსური ანგარიშგების საკითხებში.

მთვარისა მახარაძე კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში, სპეციალისტის პოზიციაზე. ხოლო მამუკა ნიკოლეიშვილი გომის ტერიტორიულ ერთეულში და ქალაქში სპეციალისტის პოზიციაზე.

სამივე მათგანი თავიანთი სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გასაუბრების ოქმების გაუქმებას.

სასამართლომ სხვადასხვა დროს იმსჯელა და საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდა: გაუქმდეს კომისიის და გასაუბრების ოქმები შესაბამის ვაკანსიებზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის 412-ე დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პრინციპები: ა) კანონიერება; ბ) სამართლიანობა; გ) საჯაროობა; დ) გამჭვირვალობა; ე) არადისკრიმინაციულობა; ვ) ობიექტურობა; ზ) მიუკერძოებლობა; თ) კოლეგიალობა. ამ პრინციპებიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა გამჭვირვალობის პრინციპი, რაშიც იგულისხმება, რომ გასაუბრების მიმდინარეობისას არ იყო აუდიო, ვიდეო ჩანაწერი.



სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარეები. მანანა სირბილაძე წარმოადგენდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას: "ვთვლი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მშრალია და მხოლოდ ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომ გამჭვირვალობა დარღვეულია, რაშიც აუდიო და ვიდეო ჩანაწერს გულისხმობს. მინდა, ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ კანონი იმპერატიულად არ ითხოვს აუდიო, ვიდეო ჩანაწერის არსებობას. "სასურველი და არა სავალდებულო", _ ასეა გაშიფრული კანონში. მთელი საქართველოს მასშტაბით არსად არ მომხდარა აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით გასაუბრება. უფრო მეტიც, საკრებულომ მიიღო საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება, სავალდებულოდ არც იქ არის მინიშნებული. თუ როგორ უნდა მომხდარიყო კონკურსანტების შეფასება, ამაზე არსებობს დებულებაზე თანდართული დანართი № 2, რომელიც გადაიგზავნა საჯარო ბიუროში და ამ დებულებისა და დანართის ირგვლივ არანაირი შენიშვნა არ ყოფილა. ამდენად, მიმაჩნია, რომ კომისია იჯდა კანონის ფარგლებში. გასაუბრების პროცესს ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორი სამტრედიაში, ნინო შარაშენიძე, რომელსაც დადებითი ანგარიში აქვს გაგზავნილი სათაო ოფისში. სასამართლომ არ გაითვალისწინა არაფერი და მხოლოდ ჩაეჭიდა აუდიო, ვიდეო ჩანაწერების არარსებობას, რაზეც კიდევ ერთხელ ვაკეთებ განცხადებას, კანონი არ გვავალდებულებდა".

მოპასუხე მხარე არ დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებამ და მეორე ინსტანციაში გასაჩივრდა. ხელახალი გასაუბრების შემთხვევაში გასაუბრება მხოლოდ კონკრეტულ ვაკანსიებზე ჩატარდება.

"სამტრედიის მაცნე" მოსარჩელე მხარეებს დაუკავშირდა. თამილა ახალაძე და მთვარისა მახარაძე თვლიან, რომ კომისიამ გასაუბრებაზე მათ განსხვავებული პოლიტიკური ნიშნის გამო უთხრა უარი.

მთვარისა მახარაძე, მომჩივანი: "დარწმუნებული ვიყავი, სიმართლე გაიმარჯვებდა, რომელიც ჩემს მხარეზე იყო. მე მქონდა პრეტენზია, რომ კომისიას ჩემთვის შეკითხვები დაესვა და შესაბამისი პასუხების მიხედვით დაეწერა ქულები. აღმოჩნდა, რომ ორი 80 ქულა და ერთი 85 ქულა მივიღე პასუხში დასმულ კითხვაზე, "სად ვცხოვრობდი". მეტი მათ ჩემთვის არაფერი უკითხავთ, თბილად გამესაუბრნენ და გამომიშვეს".

მთვარისა მახარაძე მხოლოდ კომისიის გასაუბრების შედეგების გაუქმებას არ სჯერდება. იგი მოითხოვს გაწეული სამუშაოს ანაზღაურებას. მან ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში 9 თვე უხელფასოდ იმუშავა: "არ ვაპირებ გაჩერებას. 23 ივლისს გამგეობაში შევიტანე განცხადება, პასუხის ვადა 3 თვით გაზარდეს, რომელიც 23 ოქტომბერს დამთავრდა. განცხადებაში მოვითხოვ ხელფასის ანაზღაურებას. 9 თვე თენგო ცაგურიამ საჯარო სამსახურში ხელფასის გარეშე მამუშავა. მაქვს შესაბამისი მტკიცებულებები".

თამილა ახალაძე: "გასაუბრებაში ვაკანსიის ირგვლივ ვისაუბრე. ვაკანტური პოზიცია ჩემი ყოფილი შტატი იყო, რასაც 34 წელი ვემსახურე. გასაუბრებაზე კომისიამ შემაჩერა, ერთმანეთს მიმართეს, ყველაფერი იცისო. სასამართლოზე მოპასუხე მხარეს გაუჭირდა, ვინც ჩემს ნაცვლად დაინიშნა, იმ ადამიანზე უკეთესი მტკიცებულებები წარმოედგინა. ვამბობ, რომ კომისიის მუშაობა გამჭვირვალე არ იყო, არ იყო ვიდეოკამერები, არ ჰქონდათ წინასწარი კითხვარები და მხოლოდ "ინტუიციას ენდვნენ". სასამართლომ გაგვამართლა. ველოდები ხელახალ გასაუბრებას".

**P.S.** წერილი დასაბეჭდად იყო მზად, როცა "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში მთვარისა მახარაძე მოვიდა და მორიგების აქტი გადმოგვცა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე მთვარისა მახარაძე, წარმომადგენელი თამარ ფაჩულია და მოპასუხე სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმომადგენელი ნიკოლოზ სანაძე, მორიგების აქტს დებენ შემდეგი პირობებით:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა მთვარისა მახარაძეს, 2015 წლის პირველი იანვრიდან 2015 წლის 23 ივნისის ჩათვლით გაწეული სამუშაოსათვის სახელფასო სახით (დარიცხული ხელფასი) გადაუხდის 2884 ლარს. გამგეობა მახარაძეს აღნიშნულ თანხას შემდეგი განრიგით გადაუხდის _ 1500 ლარს 2016 წლის იანვრის ჩათვლით, 1384 ლარს 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით. მორიგების აქტს ხელს აწერენ მთვარისა მახარაძე, თამარ ფაჩულია, ნიკოლოზ სანაძე.

მთვარისა მახარაძე: "9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება კანონის ძალით დავიბრუნე. რაც მეკუთვნოდა, მივიღე კიდეც".

## მწვანე სამოსი ქალაქს

მილიონი ხისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქალაქის სხვადასხვა უბნების გამწვანება რომ ერთჯერადი აქცია არაა, ან თავმოწონების საბაბი, დეკემბრის ერთმა ჩვეულებრივმა დღემაც დაგვანახა.

მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თავკაცებმა, საკრებულოს წევრებმა, საჭიდაო კლუბ "ფალავანის" თანამშრომლებმა, ქალაქ სამტრედიაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა და მისი აპარატის მუშაკებმა, ქალაქის სხვადასხვა უბნებში მცენარეები დარგეს.

"სამტრედიის მაცნემ" სწორედ ის მომენტი აღბეჭდა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილი ხის დამმუშავებელი კომბინატისა და პოლიციის მიმდებარე ტერიტორიებზე რგავდნენ მცენარეებს.

გავლენ წლები და დღეს ამ პატარა ხეთა ჩრდილში ზაფხულის ხვატში მრავალი იგრძნობს შვებას.

ლევან გაბეჩავა





## სუფთა მდინარე, სუფთა ჰაერი...

ხშირად ხმარებადი ფრაზა _ ასეთი რამ, მსგავსი თითქმის 20 წელი არ გაკეთებულაო, ხელისუფლების წარმომადგენელთაგან იმ დღეს ნამდვილად არ მოგვისმენია.

სამაგიეროდ იქვე მცხოვრებნი ხმამაღლა, სამადლობელთან იმეორებდნენ, მსგავსი დიდი ხანია არ გვღირსებია, სულს მოვითქვამთ, წყალი არ შეგვაწუხებსო.



მეთერთმეტე საჯარო სკოლის წინ, მდინარე ჭურთავას კალაპოტის წმენდა, ინერტული მასის ამოღება მიმდინარეობდა, როცა მუნიციპალიტეტის თავკაცებთან ერთად იქ მივედით.

ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია ამ ქუჩაზე, უეჭველად "მოიხიბლებოდა" უპრეტენზიო, თუმცა, ზოგჯერ ერთობ პრეტენზიული მდინარის სანახებით. მყრალი "სურნელიც" უეჭველადვე გააბრუებდა, განსაკუთრებით ზაფხულში. არაფერს ვამბობთ კოღოებსა და მწერებზე, მღრღნელებზე.

მოსახლეობის სახელით სამადლობელი ხელისუფლების მისამართით ბატონმა თენგიზ ბურკაძემ გამოთქვა "სამტრედიის მაცნესთან", ხშირად ხმარებადი ფრაზაც მას ეკუთვნის _ დიდი ხანია მდინარის ეს მონაკვეთი ასე არ გასუფთავებულაო.

ერთი სიტყვით, მძლავრი ტექნიკის გუგუნი კვლავ ისმოდა, როცა იქაურობა კმაყოფილ ადამიანებთან ერთად დავტოვეთ.

ლევან გაბეჩავა

## თხილმა თავი "დაიფასა"

მერედა როგორ!



არა ერთი და ორი ოჯახისათვის იქცა ის შემოსავლის მსუყე წყაროდ.

თხილის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, თხილის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების გაზრდა... გახლავთ 2013 წელს დაფუძნებული საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის ძირითადი მიზნები.

700-ზე მეტ ფერმერს აერთიანებს დღეისათვის ასოციაცია, რომლის მუშაობა იმით გამოირჩევა, რომ მასში გაწევრიანებული ფერმერები იყენებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს, რაც მათ საშუალებას აძლევს ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, ერთად მონახონ პრობლემების გადაჭრის გზები. თითოეულ ჯგუფს კვალიფიციური აგრონომი ემსახურება, ისინი რეკომენდაციებს აძლევენ ფერმერებს და აკვირდებიან თხილის ბაღებში მიმდინარე ცვლილებებს.

_ 25 ნოემბერს ზუგდიდში საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის პირველი (ყოველწლიური) კონფერენცია გაიმართა და იგი ერთობ წარმომადგენლობითი, დროული იყო იმით, რომ ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი.

ფერმერებმა კი, "მეტად საჭირო ცოდნა შეიძინეს, რასაც ისინი თხილის გაშენებისა და მოვლისას გამოიყენებენ." _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა მამუკა კვანტალიანმა, რომელიც კონფერენციაში მონაწილეობდა.

როგორც შევიტყვეთ, ჯერჯერობით სამტრედიიდან თხილის მწარმოებელი არც ერთი ფერმერი არაა გაწევრიანებული ასოციაციაში, თუმცა, უეჭველად სამტრედიელებიც დაინტერესდებიან ორგანიზაციის საქმიანობით, სერვისებით, რომლითაც საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის წევრები სარგებლობენ, მით უფრო, რომ ყოველივე მათთვისაა ხელსაყრელი.

ლევან გაბეჩავა

# ვანხონს+ხონვანი=სამტრედიას




**თეა ბაბუნაშვილი**

**...ან უფრო თანამედროვედ, ზოგადი უნარების ამოცანის მსგავსად, ვანხონი ისე შეეფარდება ხონვანს, როგორც ხონვანი ვანხონს და საბოლოოდ სამტრედია მიიღება. შესაკრებთა გადანაცვლებით რომ ჯამი არ იცვლება, ესეც მათემატიკური ჭეშმარიტებაა. რა ენის გასატეხს არ მოვიგონებთ, სამტრედია საბოლოო შედეგად რომ დარჩეს! ამ სიტყვების მართლწერაზეც საფიქრალია, დეფიზით, თუ უდეფიზოდ. მოკლედ, თავსატეხად დაემატა სამტრედიას, საიდან მოსულა და საით არის წასასვლელი. ვანელი, ხონელი და ჭადარი ყველაზე უკეთ რომ ხარობს ამ სამტრედე და საველოსიპედე ქალაქში, ეს ყველა სამტრედიელმა იცის წინაპრებისგან და ახლა საარჩევნო კანონი განამტკიცებინებს თანამედროვეებს ცოდნას.**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ და ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, სამტრედიის, როგორც საარჩევნო ოლქის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა. ჯერჯერობით თავის დაიმედება იმით შეიძლება, კანონად მიღებამდე კანონპროექტს დიდი გზა აქვს გასავლელიო, მაგრამ მის დაკანონებამდე გზა არცთუ ისე გრძელია, მით უმეტეს, რომ დიდი სურვილი ამისა, სახეზეა.

უფრო ცხადად და ქარაგმების გარეშე კი, წინა არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული მთავრობის დაპირება, მომავალი არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თაობაზე, სიახლით შეიცვალა. იგი არა მაჟორიტარების გაუქმებას, არამედ მაჟორიტარული ოლქების გამსხვილებას გულისხმობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც ამომრჩევლის რაოდენობის დაბალანსებას გულისხმობს, თითოეულ მაჟორიტარულ ოლქს 35-37 ათასზე ნაკლები ამომრჩეველი არ უნდა ჰყავდეს. სამტრედია 48 ათასზე მეტ ამომრჩევლიანი საარჩევნო ოლქია. მის მეზობელ ხონსა და ვანში კი მათი რიცხვი დაახლოებით 25 ათასს არ აღემატება. ჯერ კიდევ განხილვის პროცესში მყოფი კანონითა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამტრედიის მაჟორიტარული ოლქი ამომრჩეველთა რაოდენობის ბალანსის დასაცავად, ორ ნაწილად გაიყოფა, გაღმა ზონა და ბაში, ეწერი, იანეთი, დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორიები ვანს, დაბა კულაში, ღანირი, ნაბაკევი და ქალაქის ცენტრი ხონს შეუერთდება. არჩევანი სამტრედიაზე რეგიონალური დაყოფის გამო შეჩერდა. მხოლოდ ამიტომ არ გადაწყდა სხვა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ამ ორი ნაკლებამომრჩევლიანი ოლქის მიერთება.

"ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ კანონპროექტის დონეზეა და მას კანონის სახე არ მისცემია. ვერ გეტყვით, რომ მისაღებია ამგვარი ფორმა. იქნებ ამომრჩეველთა რიცხვოვნობიდან გამომდინარე გამართლებაც აქვს, მაგრამ ადვილად გადასაწყვეტი საკითხი ნამდვილად არ გახლავთ. ამგვარი ცვლილება საარჩევნო სისტემას უპირველესად გამოცდილებას მისცემს, ცუდს თუ კარგს, ამის გარკვევას ბევრი არ დააგვიანდება. მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, თუმცა ამჯერად მათი განხილვისგან თავს შევიკავებ, რომ ვინმემ პოლიტიკური კუდი არ გამოაბას. ხაზს ვუსვამ, რომ ეს კანონპროექტია და ჯერ კანონის ძალა არ აქვს." – ამბობს #54 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე, მამუკა ახობაძე.

საკითხი სამტრედიის საარჩევნო ოლქის გაუქმების თაობაზე დასაწყისშივე დააყენა ავთანდილ სტურუამ, საკრებულოს ბოლო სხდომაზე. იგი ამ გადაწყვეტილებას არასერიოზულს უწოდებს და აცხადებს: "ჩვენ იმ კვოტაში ვჯდებით, რაც სჭირდება საარჩევნო ოლქს თანაბრობის პრინციპებიდან გამომდინარე. სამტრედია ცალკე ოლქად უნდა დარჩენილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებითაც. კონსტიტუციის მეთოთხმეტე და ოცდამერვე მუხლები განსაზღვრავს თანაბრობას და ხმის მიცემის უფლებას. ეს მმართველ პარტიაში მიიჩნიეს, რომ სამტრედიით უნდა დაებალანსებიათ სხვა რაიონები. უფრო კატეგორიულად არ შევაფასებ და დავჯერდები ამ გადაწყვეტილებას არასერიოზული ვუწოდო. მეტიც, ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2012 წლამდე ჰქონდა გეგმაში ამ რაიონის დაყოფა. დღეს ნამდვილად ვერ აქვს მას ასპროცენტიანი გარანტი არჩევნებში გამარჯვებისა. ამიტომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. ორი პატარა მუნიციპალიტეტის გაერთიანების შემთხვევაში პრობლემა მტკივნეული არ იქნებოდა, მაგალითად, ვანი და ბაღდადი. ახლა კი, ხელისუფლება სახელისუფლებო რესურსით ადვილად მოიგებს არჩევნებს. ვიმეორებ, ეს არასერიოზული საქციელია, მით უმეტეს, რომ ამის საჭიროება კანონიდან და კონსტიტუციიდან გამომდინარე არ არსებობს. მე ორჯერ ამირჩიეს სამტრედიელებმა და მადლობა მათ ამისთვის. ვიცი მაჟორიტარობა რას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან გახლდით არჩეული. და საერთოდ, ვთვლი, რომ მაჟორიტარი, თუკი იგი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობებს, საჭიროა მუნიციპალიტეტისთვის."

ძნელი არჩევნები გვექნება ჩასატარებელი _ ამ აზრის გახლავთ რესპუბლიკელი იმედა გოგავა. "ის, რომ თანაზომიერი ხმა ჰქონდეს ყველა მაჟორიტარს, ჩემთვის მისაღებია. არ შეიძლება, ცაგერსაც, სამი ათასი ამომრჩეველი რომ ჰყავს და ქუთაისსაც 128 ათასი ამომრჩევლით, თითო დეპუტატი ჰყავდეთ. იქ სამი სოფლით იგებ არჩევნებს, აქ კი უნდა მოიგო მთელი ქალაქი. "რესპუბლიკელები" ვთვლით, რომ საერთოდ მაჟორიტარული, რეგიონალურ-პროპორციულმა სისტემამ უნდა ჩაანაცვლოს. ეს ნიშნავს, რომ მაჟორიტარები არ იქნებიან, პარტიები რეგიონალურად შეადგენენ პარტიულ სიებს და რომელი პარტიის დეპუტატიც მეტ ხმას მიიღებს, მეტი რაოდენობით დაისვამს დეპუტატს პარლამენტში. სამწუხაროდ, ეს ინიციატივა ვერ გავიდა, რადგან მმართველმა გუნდმა არ დაუჭირა მხარი. სავარაუდოდ ეს პროექტი 2020 წლიდან განხორციელდება, თუმცა მის უკვე ამოქმედებას არასაპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი მოითხოვდა. 2016 წლის არჩევნებზე ამაზე ფიქრიც ზედმეტია. ვფიქრობ ძნელი ასახსნელი იქნება ვანელისთვის და ხონელისთვის რატომ უნდა მისცეს სამტრედიელს ხმა და პირიქით, სამტრედიელისთვის, ვანელისა და ხონელის მხარდაჭერა, მით უმეტეს, რომ ამომრჩეველი ცოტა სუბიექტურიც არის. ვიმედოვნებ, ამგვარი საარჩევნო სისტემა ამ არჩევნების შემდეგ არ განმეორდება."

მიუღებელია ასეთი დაყოფა ოპოზიციისთვისაც. "ნაციონალების" სამტრედიელი ლიდერი ემზარ შუბლაძე საკუთარ პოზიციას ამგვარად გამოხატავს: "ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილება, რომელზეც, ვფიქრობ, სამტრედიის მოსახლეობა აზღვევინებს კიდეც ხელისუფლებას. სამტრედიის მუნიციპალიტეტს საკვანძო ფუნქცია აქვს, ვანის, ხონის, აბაშის და მიმდებარე რაიონების ცენტრია და არა მარტო ტერიტორიულად. ეს სხვა დიდ შეცდომებთან ერთად მოქმედი ხელისუფლების კიდევ ერთი დიდი შეცდომაა. საჭიროა ამასთან დაკავშირებით სერიოზული აჟიოტაჟიც კი ატყდეს, რომ სამტრედიელი ამომრჩეველი შეურაცხყოფილი არ დარჩეს. როგორ შეირჩეს კანდიდატი, პოლიტიკური პარტიები გადაწყვეტენ შიგა კონსულტაციებით. არის ალბათობა იმისა, რომ ხმათა უმრავლესობით ეს მუნიციპალიტეტები გადაძალავენ სამტრედიელ ამომრჩეველს და აუცილებლად მათი კანდიდატი გავა. და საერთოდ, ხონელმა კაცმა რატომ უნდა აირჩიოს სამტრედიელი და პირიქით. ეს ალბათ იმიტომ, რომ არჩევნებში ხელისუფლებას ხონის და ვანის წაგების ეშინია და სამტრედიით ფიქრობენ დაბალანსებას, მაგრამ ნუ ჰგონიათ, რომ სამტრედიაში "იოლი გასეირნება" ექნებათ. ხალხი იმდენად გაამწარა ხელისუფლების უნიათობამ, იქნებ სამტრედიამ გადაწყვიტოს ამ ორი რაიონის ბედი."

გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული არც საკრებულოს თავმჯდომარე გახლავთ. ნუგზარ ჯამბურია ეთანხმება მას, ვისთვისაც სამტრედიის ამ ფორმით დაყოფა არასასიამოვნო ფაქტია: "ყველას მოეხსენება, რომ ადგილობრივ დონეზე ამ საკითხზე ზემოქმედება არ შეგვიძლია. ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. არ მინდა სიტყვა არამართებული ვიხმარო, მაგრამ ... ჩვენ კანონმორჩილები ვართ და ვემორჩილებით იმ გადაწყვეტილებას, რასაც პარლამენტი მიიღებს. როგორც სამტრედიელს კი პროტესტის გრძნობა ნამდვილად მიჩნდება."

ეს გადაწყვეტილება სამტრედიის გაყოფას ნიშნავს თუ მასზე შემოერთებას, საკამათო თემაც კი შეიძლება გახდეს. ამგვარი მინიშნებით იწყებს საუბარს მუნიციპალიტეტის გამგებელი. "დიახ, ზოგი მას სამტრედიაზე შემოერთებად მიიჩნევს. სამ რაიონს ორი დეპუტატი ეყოლება და სულ არაა გამორიცხული, ორივე სამტრედიელი იყოს. პრობლემის თავი და თავი კი ის არის, რომ ზოგი თვლის დეპუტატი რაიონში უნდა იჯდეს და გზას ხრეშავდეს, ან სხვა სამუშაოს აკეთებდეს. ეს მცდარი აზრია. დეპუტატის ადგილი პარლამენტშია და ის კანონებზე უნდა მუშაობდეს. სამწუხაროდ, მაჟორიტარული სისტემა ჯერ ისევ შემორჩა. მომავალში იმედია, არ იქნება იგი. ნამდვილად ვერ მივესალმები ამ ფორმით გამსხვილებას, თუ მაჟორიტარული სისტემა დარჩება. გასაგებია, რომ არ შეიძლება ქუთაისის და ნაკლებამომრჩევლიანი რაიონის ამომრჩეველი ერთნაირ ამპლუაში გვხვდებოდეს. დიახ, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით უნდა იყოს ეს გათვლილი, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარული სისტემა შეიცვლება და პარტიული ნიშნით ჩატარდება არჩევნები. ზოგადად კი, მაჟორიტარი და საერთოდ დეპუტატი, ვანელი იქნება, ხონელი, სამტრედიელი თუ ჩოხატაურელი, მთავარია წესიერი კაცი, მცოდნე და კომპეტენტური გამოდგეს."

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის კომენტარის გარეშე, მასალა არასრულყოფილი იქნებოდა. როგორც აღმოჩნდა, კანონპროექტის კანონად ქცევას არც ის უჭერს მხარს. აცხადებს კიდეც: "საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ახალი რეალობა შეიქმნა. საარჩევნო ოლქების დღეს არსებული დაყოფა სწორად არ მიიჩნია. მოგეხსენებათ, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, საარჩევნო ოლქების საზღვრები ემთხვევა მუნიციპალიტეტების საზღვრებს. ამ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, ამომრჩევლის თანაბრობაზე კეთდება აქცენტი, შესაძლებელია მხოლოდ 10%-იანი გადახრა. ბუნებრიავია, გაჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობა, რაც ოლქების საზღვრების შეცვლას იწვევს. ცვლილება სამტრედიას ორ ნაწილად ყოფს, ნაწილს ვანს, ნაწილს ხონს უერთებს. მესმის, რომ არსებობს ამის ობიექტური საფუძვლები. იქნებ სუბიექტურობაც დამწამონ, მაგრამ სამტრედიის ასეთ დაყოფას არ ვეთანხმები. ჩემი პოზიცია უმრავლესობის შეკრებაზე უკვე დავაფიქსირე, საკითხის დაყენებას ვაპირებ კომიტეტის სხდომაზეც. თუ შეიცვალა ხომ კარგი, თუ არა და კენჭისყრის დროს ამაზე მხარის დაჭერას არ ვაპირებ."

კანონპროექტი, მართალია, განხილვის პროცესშია, მაგრამ "ხმა გავარდნილია" მისი დაკანონების თაობაზე. შედეგი შედეგს დაეტყობა, ნაარჩევნებს მიღებულს. ამომრჩევლის სურვილსა და განწყობას ნაკლებად კითხულობენ, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასეა. კანონი კი, კანონიერების დაცვას ნებისმიერ შემთხვევაში გვავალდებულებს, თუმცა ხშირად, მისი, ქოთნისთვის სასურველ ადგილას მობმული ხელივით, დაცვის მაგალითებს ვხვდებით. საკრებულოს თავმჯდომარისა არ იყოს, ვერც ადგილობრივ დონეზე გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ამ წერილით შევცვლით რამეს, უბრალოდ, დამოკიდებულებას გულისტკივილით გამოვხატავთ თუ არა. აი, რაც შეეხება მაჟორიტარის პოზიციას, მითუმეტეს, მოგეხსენებათ, გიორგი კახიანი თავად გახლავთ კონსტიტუციონალისტი, იმედი დავიტოვოთ უდაბნოში მღაღადებლის ხმად არ დარჩება.

## პატივცემულო რედაქციავ!

ბოდიშს გიხდით, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ მოგილოცეთ ჩემი საყვარელი გაზეთის, "სამტრედიის მაცნეს" 85 წლისთავი, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

დიდი ხანია, 1975 წლიდან, ვთანამშრომლობ გაზეთ "სამტრედიის მაცნესთან" (წინსვლასთან). განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მისი რედაქცია დიდი ყურადღებით ეკიდება ყველა მასალას, დაბეჭდვის ან რეაგირების გარეშე არ ტოვებს არც ერთ წერილს.

"სამტრედიის მაცნე" ჩემი საყვარელი გაზეთია. ყოველი ათ დღეში ვკითხულობ, მოვა თუ არა გაზეთი. მის ფურცლებზე ვკითხულობ საინტერესო მასალებს, რაიონის მიღწევებს.

სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს მის ძვირფას კოლექტივს.

*პატივისცემით რეზო შამათავა*

# სასადილო რომ არ არსებობდეს, გამიჭირდებოდა ცხოვრება



**ნინო ნანიტაშვილი**

წინა კვირის ერთ-ერთ მთავარ, ხმაურიან თემად უფასო სასადილოში ბენეფიციართა კვება გამოიკვეთა. საინფორმაციო საშუალებებმა იმთავითვე აიტაცეს სოციალურად დაუცველი ადამიანების უკმაყოფილება, რომლებიც უფასო სასადილოთი სარგებლობენ.

აღნიშნულ საკითხს ოპოზიცია ასევე აქტიურად გამოეხმაურა.



ძნელია ქვეყანაში მოძებნო კაცი, რომელიც დაიჯერებს, რომ ცოცხალ ადამიანს დღეში ერთხელ სადილად 1 ლარი და 20 თეთრი აკმაყოფილებდეს. არადა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გახსნილ უფასო სასადილოებში ბენეფიციართა გამოკვებაზე, სწორედ, ეს თანხა იხარჯება. შიგადაშიგ გვხვდება ცოტაოდენი განსხვავება.

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, აღმოჩნდა, სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებზე თბილისზე მეტად, რომლის ბიუჯეტი რეგიონის ბიუჯეტზე გაცილებით მეტია, იმერეთში ზრუნავენ.

სამტრედიულ მედიას, სიტუაციებიდან გამომდინარე, ხშირი შეხება აქვს უფასო სასადილოსთან, რომელიც ქალაქის ცენტრში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ამ უკანასკნელით ყოველდღიურად 135 ბენეფიციარი სარგებლობს. სამტრედიელი ჟურნალისტები ამ ადამიანებს ვხვდებით როგორც ჩვეულებრივ დღეს, ასევე წლის სხვადასხვა დღესასწაულების პირობებში. ბევრი მათგანი ადმინისტრაციულ შენობაში და ქუჩაშიც გვხვდება.

როცა თბილისში ერთ-ერთ უფასო სასადილოში მისულ ჟურნალისტს უკმაყოფილო ბენეფიციარები გარს შემოეხვივნენ და თავიანთ განწყობას უზიარებდნენ, სამტრედიაში, ქუჩაში მიმავალი იური ჩაჩუა გვაჩერებს, გვთხოვს, მისი პოზიცია მოვისმინოთ და მკითხველამდე მივიტანოთ. ცნობისთვის, ბატონი იური, ვეტერანი ფეხბურთელი, დღეს სამტრედიის უფასო სასადილოთი სარგებლობს და ზოგადად საკმაოდ პრეტენზიულ პიროვნებას, ამ დაწესებულების მიმართ დადებითი განწყობა აქვს.

''სამტრედიის მაცნე'' მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უფასო სასადილოს დაფინანსებით დაინტერესდა. თუ თბილისში ერთი ბენეფიციარის ერთჯერადი სადილი 1 ლარი და 18 თეთრია, სამტრედიაში ეს თანხა 1 ლარსა და 20 თეთრს შეადგენს. სამართლიანი იყო თუ არა თბილისელი მოხუცების პრეტენზია, რომ მათ ხშირად სუპებს და ბორშს აჭმევენ, ხოლო კატლეტი ენატრებათ, ამის გადამოწმების საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნია. სამტრედიის უფასო სასადილოში მისულებმა კი შევიტყვეთ, რომ ჩვენს ბენეფიციარებს ყოველდღე სხვადასხვა მენიუ აქვთ. ასე, მაგალითად, ორშაბათს სადილად მისულ მოქალაქეებს ხორციანი კატლეტი, თავისი გარნირით, წიწიბურა, კომპოტი და პური ხვდებათ. სამშაბათს _ ლობიო, მაკარონის ფაფა, კისელი, პური. პარასკევს _ ქათმის ჩახოხბილი, წიწიბურა, ვაშლის კომპოტი და პური. შაბათს _ ბორშჩი, ბრინჯის ფაფა, კისელი და პური.

ჩვენთან საუბრისას მოსადილეებს არც ხარისხი და არც რაოდენობა დაუწუნიათ.

სოციალურად დაუცველი ნონა თოფურია მეუღლესთან და უნარშეზღუდულ შვილთან ერთად სამი წელია, უფასო სასადილოში მთელი ოჯახით იკვებება: ''ჩვენსას საერთოდ ვერ შევადარებ თბილისის სასადილოს. აქ სისუფთავეც არის, სითბოც, მომსახურე პერსონალისგან გამოხატულია უდიდესი სულიერი სითბო. ამას ყველა ბენეფიციარი გრძნობს. აქედან წაღებული საკვებით ვკვებავ ჩემს ანგელოზ, ინვალიდ შვილს, იზოლდა გრიგოლიას, რომელიც 20 დეკემბერს 13 წლის გახდება. ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს, პამპერსებით მყავს. ეს სასადილო რომ არ არსებობდეს, მე ძალიან გამიჭირდებოდა ცხოვრება. თბილისელი მოხუცებისგან მოვისმინე, არ გვყოფნის სადილიო. ჩვენთან ასე არ არის. იმდენი რაოდენობით გვაძლევენ, ერთ ჯერზე, ადამიანი კარგად რომ დანაყრდება. ჩვენი სადილი მრავალფეროვანიც არის და გემრიელიც. კვირაში სამჯერ ხორციანი კერძი გვაქვს, ფაფები, თევზი, დესერტი. კიდევ ვამბობ, ეს სასადილო ასეთი რომ არ იყოს, ვერ ვიარსებებდით''.

თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრები მარტოხელა სერგო გრიგოლია 5 წელია,



უფასო სასადილოთი სარგებლობს. მან 4 ნოემბერს სასადილოში ქათმის ხორცის ჩახოხბილი, წიწიბურა და ვაშლის კომპოტი მიირთვა: ''ძალიან კარგი მომსახურებაა. კმაყოფილი ვარ აქ მომზადებული საკვებით. თბილისში რა ხდება, არ ვიცი, სამტრედიის უფასო სასადილოს კი წუნს ვერ დასდებს კაცი _ გემრიელი კერძი, სისუფთავე, მზრუნველი მომსახურე პერსონალი''.

დარეჯან ზამთარაძეც მარტოხელა პენსიონერია. როგორც თავად ამბობს: ''ამ სასადილოთი მიხარია მეორე დღის გათენება. ამირან კალაძის ქუჩაზე უკიდურესად გაჭირვებით ვცხოვრობ. სადილის რაოდენობაც გვაკმაყოფილებს და ხარისხიც. რაც მთავარია, სისუფთავეა ირგვლივ. რომ ნახოთ როგორ ჭურჭელში აკეთებენ საჭმელს, აქ ნამზადს თვალდახუჭული შეჭამ, სადილი მრავალფეროვანია, ხორციც გვაქვს და თევზიც. მაგალითად, სკუმბრია. თბილისელი ბენეფიციარების საუბარი რომ მოვისმინე, არ მეგონა ასეთი ცუდი სიტუაცია თუ არსებობდა სადმე. ჩვენი იმათთან შედარება არ შეიძლება''.

სახლი ''თანადგომას'' დაქვემდებარებაში არსებული ე. წ. უფასო სასადილოს საქმიანობით კმაყოფილი ჩანს ააიპ-ის დირექტორი. თუმცა, მზევინარ ბოხუა კიდევ უფრო უკეთესის პირობებში მუშაობაზეც არ ამბობს უარს:

''როცა თბილისის უფასო სასადილოზე ტელევიზიით მომზადებული რეპორტაჟები ვნახე, ძალიან გავღიზიანდი. ჩვენ ისეთ კატეგორიასთან გვიწევს მუშაობა, რომლებიც საზოგადოებაში უდიდეს სიბრალულს იწვევენ. ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები ბევრ უხერხულობას და წინააღმდეგობას ვაწყდებით. ძნელია, სოციალურად დაუცველი ადამიანები ბოლომდე კმაყოფილი გვყავდეს. ასევე გვიჭირს შეგუება იმასთან, რომ წარსულში ცნობილი, ღირსეული ადამიანები, როცა ჩვენთან მოდიან, უფასო სასადილოში კერძს და კვირაში ერთხელ პურის მიღებას გვთხოვენ. არ ვიქნები მართალი, რომ გითხრათ, თუნდაც 1 ლარი და 20 თეთრი ერთი სადილისთვის დიდად საკმარისი იყოს, თუმცა, ჩვენი კონკრეტული უფასო სასადილოდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, თუ ბენეფიციარისთვის გამოყოფილი 1 ლარს და 20 თეთრს უკლებლივ ბენეფიციარს მოახმარ, იგი დაუკმაყოფილებელი არ უნდა წავიდეს სახლში.

ხშირად ვეკითხები მოსადილეებს, ხომ არ უნდათ დამატება, ხომ საკმარისი რაოდენობით მიიღეს საკვები. არ ვიცი, გვიმალავენ, თუ მართლაც საკმარისი იყო, უმეტეს შემთხვევაში გვპასუხობენ: გვეყო და ძალიან გემრიელიაო. ყოფილა შემთხვევა, პირველი, კატლეტი რომ შეჭამა, მეორე, მაკარონის ფაფა ველარ შეჭამა და სპეციალური ჭურჭლით სახლში წაიღო. რაც შეეხება სადეზინფექციო ცენტრს, ''ჰიგიას'' მთავარმა მენეჯერმა, ვლადიმერ კიკვაძემ ჩვენი უფასო სასადილოს მისამართით თქვა, სად არ ვყოფილვარ და ასეთი მოწესრიგებული გარემო და სისუფთავე არსად შემხვედრიაო. ამას ჩვენი ბენეფიციარებიც გრძნობენ და ამჟღავნებენ კიდეც. თუმცა არსებულით კმაყოფილი არასოდეს ვიქნები. ვისურვებდი, რომ ყველა ბენეფიციარისთვის, მათ შორის სამტრედიელებისთვის, კიდევ უფრო უკეთესი პირობები შექმნილიყოს, როგორც ფინანსურად, ასევე ესთეტიკურად''.

# მათზე ზრუნვა ჩვენი ვალია

**ნათია ნაცვლიშვილი**

თარიღებს კი არ უნდა გამოვეღევნოთ და იმიტომ კი არ უნდა ვსტუმრობდეთ ამ გარემოს, რომ 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დღეა, გულწრფელ მოთხოვნილებად უნდა გვექცეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისადმი სიყვარულის და პატივისცემის გამოხატვა. ამიტომაც თარიღების გარეშეც არ აკლიათ ''ლამპარის'' ბენეფიციარებს სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების სტუმრობა. ამჯერადაც, პიერომ, მალვინამ და ბურატინომ განიზრახეს მათი ნაცრისფერი ყოველდღიურობის გასხივოსნება. ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ეწვივნენ დღის ცენტრს. ეს პატარა მსახიობები ''საბავშვო თეატრის'' (ხელმძღვანელი ლორიტა ჯორჯიკია) მსახიობები არიან. ''ლამპარის'' ბინადრებთან საახალწლო საჩუქრებით ხელდამშვენებულნი გამოცხადნენ კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი, ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი და გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია. საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური.

განსაკუთრებულად გაულამაზეს დღე პატარებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლ ''დილიღმეს'' წევრებმა. პედაგოგ მერი ტკავცირიასთან ერთად პატარებმა შესანიშნავად შეასრულეს ხალხური სიმღერები. პატარა ბენეფიციარები ჰანგებს აჰყვნენ და აცეკვდნენ. ერთობლივად კი იმღერეს ''მაგნოლია'' და ''დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს''. პატარებმა საქართველოს ეროვნული ჰიმნიც გვიმღერეს. მხიარული, ხალისიანი და ლამაზი დღის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ და გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, პატარები გამგებლის ნაძვის ხის ზეიმზე დაპატიჟეს.





ვალერიანე ფოცხვერია: ''მაქსიმალურად ვცდილობთ ყურადღება არ მოვაკლოთ ამ ბავშვებს. მათ თავისებური მრწამსი, ბუნება, ხასიათი და სამყარო აქვთ. ჩვენც ვცდილობთ გავულამაზოთ ეს სამყარო და უფრო მშვენიერი გავხადოთ. ხშირად დავდივართ აქ, ვეცნობით მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვაგვარებთ მათ. დღესაც კმაყოფილნი არიან ჩვენი სტუმრობით, რადგან მომღერლებთან ერთად მოვედით და გავამხიარულეთ ისინი''.

ნატალია მანჯგალაძე: ''დღეს შეზღული შესძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. შევეცადეთ, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ამ ბავშვების თანადგომის საქმეში. მცირედით, მაგრამ მაინც გავახარეთ. საკმაოდ ბევრ ღონსიძიებას ვგეგმავთ. შარშანდელ გამგებლის ნაძვის ხის ზეიმზე მივიწვიეთ ეს ბავშვები, წლეულსაც მივიწვევთ მათ სხვა ბავშვებთან ერთად. მათი ინტეგრაცია აუცილებლად მოხდება''.

ლიზა კრავეიშვილი: ''ეს ბავშვები უნდა მივიღოთ ისეთები, როგორებიც არიან. ჩვენი მოვალეობაა, მძიმე ყოფა შევუმსუბუქოთ მათ, ყველა მნიშვნელოვან დღეს ვსტუმრობთ ამ დაწესებულებას, სადაც პატარებს ასე კარგად უვლიან. ჩვენ მიმდინარე წელს გადავხურეთ ეს შენობა, მაშინ დაზიანდა მილები და წყალი ჩამოვიდა, ახლა ეს ხარვეზიც აღმოფხვრილია, ძალიან კარგი პირობები აქვთ ამ ბავშვებს და კიდევ გავაგრძელებთ მათთან ურთიერთობას''.

''_ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ხშირად დავდივარ აქ. უბრალოდ მიხარია, რომ ჩემი მცირედი წვლილიც არის, ამ სახლის ბენეფიციარი პატარა გოგონას ეტლის შეძენაში. ის ჩვენ მცხეთიდან ჩამოვუტანეთ. ახლაც გვაქვს კონსულტაციები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. რამდენიმე პატარას კიდევ სჭირდება ეტლი და იმედი მაქვს, ამ ბავშვებსაც დავეხმარებით. ჩემმა შვილმა, ბარბარემ თავად გამოთქვა ამ ბავშვებთან სტუმრობის სურვილი, ამიტომაც ერთად მოვედით'' _ გვითხრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა.

ამავე დღეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერის აქცია მოაწყვეს და ფლაერები ჩვენს რედაქციაშიც მოიტანეს. ''მათზე ზრუნვა ჩვენი ვალია'' _ შეგვახსენეს ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს, 4 დეკემბერს, მე-12 საჯარო სკოლის მეათეკლასელები სამოქალაქო განათლების პედაგოგ სოფიო კირთაძესთან ერთად ეწვივნენ დღის ცენტრ ''ლამპარს''. როგორც ქალბატონმა სოფიომ და ბავშვებმა აღნიშნეს, მეგობრობას ჩაუყარეს საფუძველი. სტუმრებმა მათ საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი და მათთვის საჭირო ბევრი ნივთი გადასცეს: სახატავი ფურცლები, აკვარელი და სხვა. ბავშვებმა საახალწლო თემაზე ერთობლივად შეასრულეს ნამუშევრები. იცეკვეს, იმღერეს და კარგად გაერთვნენ. იმ დღესვე შევიტყვეთ, რომ ''ლამპარის'' მუსიკის პედაგოგს ბანკი ''კრისტალი'' აფინანსებს ყოველთვიური ხელფასით. დაფინანსება დეკემბრის ჩათვლით გრძელდება. იმედია, კეთილი ადამიანები არც დეკემბრის შემდეგ დატოვებენ მზრუნველობის გარეშე პატარებს. ''ლამპარის'' არტ-თერაპიის პედაგოგმა, შუქია თვალაბეიშვილმა გვითხრა, ქუთაისის ეროვნულ მუზეუმში სულ ახლახან ''ლამპარის'' ბენეფიციართა ნახატების გამოფენა გაიმართა და ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

# როცა სოფელი იტბორება, ღამის განათება ფუფუნებაა

ნინო ნანიტაშვილი

"რა შევძელით და რა ვერ შევძელით", _ ამ კითხვარის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახური, ყველა სოფელში გამგებლის წარმომადგენელი, ერთწლიან ანგარიშს მოამზადებს, რომლის პრეზენტაციაც ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში გაიმართება. მანამდე კი ყველა სამსახურმა და ყველა სოფელში გამგებლის წარმომადგენელმა, ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანამშრომლებსა და თანასოფლელებს უნდა ჩააბაროს. ამ დავალებით დაიწყო ვალერიანე ფოცხვერიამ 30 ნოემბრის ორშაბათის ტრადიციული თათბირი. სამსახურებიდან და ტერიტორიული ერთეულებიდან მისაღები ინფორმაციების ბოლო ვადად 10 დეკემბერი დასახელდა, ხოლო ცენტრში საბოლოო ანგარიშის მოსმენა წლის დასასრულისთვის დაიგეგმა.

"2015 წლის მანძილზე განხორციელებული პროექტებიდან მხოლოდ ორია დარჩენილი", _ ითქვა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გამოსვლაში. ზურაბ გოგიამ იქვე დაამატა, რომ მათ შორის ერთი გაღმა ზონის წყალმომარაგებაა.

ცალკეულ სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი ფინანსებიდან მორჩენილი თანხით შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციები, წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს რიგრიგობით მოახსენეს. აღმოჩნდა, რომ სოფლების უმეტესობას ნარჩენი თანხებით ქუჩების განათების სურვილი და მოთხოვნა აქვს. "ნათურების" თემამ გამგებლის პირველ მოადგილეს თამაზ იმედაძე გაახსენა. დავით ბახტაძის მოგონებებში კომუნისტების დრო ამოტივტივდა:

"იმედაძის პერიოდში სამტრედიის რაიონი ითვლებოდა, ყველაზე განათებულ ქალაქად დასავლეთ საქართველოში. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, იმ წლებში 2500-მდე განათების წერტილი მოქმედებდა. დღეს, როცა ბევრი უბანი ითხოვს ღამის განათების მოწყობას, სინამდვილეში უკვე 5000-მდე წერტილი არსებობს. ჩემი აზრით, მოსახლეობის მხრიდან უკმარისობის განცდა არ უნდა არსებობდეს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარე განათება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს წლიდან წლამდე სოლიდური თანხა უჯდება".

ამ განცხადებით დავით ბახტაძემ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს მიუთითა, ნარჩენი თანხები ადმინისტრაციული ერთეულებისთვის უფრო აქტუალური პრობლემების მოსაგვარებლად იქნეს გამოყენებული. მაგალითად, როგორიცაა გზების წერტილოვანი შეკეთება, არხებისა თუ ბოგირების მოწესრიგება. დავით ბახტაძის აზრით, როცა სოფელი დატბორვის საშიშროების წინაშე დგას, ღამის განათებაზე თანხის დახარჯვა ფუფუნებად შეიძლება ჩაითვალოს.

30 ნოემბერს, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, ზამთრის მოახლოებასთან ერთად კრიტიკის ობიექტი კვლავ გახდა კანონი, რომლითაც სატყეო-სანერგე მეურნეობები სარგებლობენ. უფრო ზუსტად, მაკონტროლებლები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გლეხობას ორი-სამი ღერი საშეშე მერქნის მოჭრისთვის შეუბრალებლად აჯარიმებენ. სოფლის მოსახლეობა შეშინებულია, ცივ ზამთარში ოჯახი გაყინვას როგორ გადაარჩინოს. ამ მოკლე პერიოდში არ დარჩა სოფელი, სადაც ათეულობით მოსახლე არ დაეჯარიმებინოთ.

სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ისედაც შეჭირვებულ გლეხობას წელს გამოზამთრებაც გაუძნელდებათ. გამგებლის წარმომადგენელმა დიდ ჯიხაიშში ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ტყის თემა კვლავ გააჟღერა. ნუგზარ ნუცუბიძე სამტრედიიდან ისევ გამოესარჩლა თანასოფლელებს, ძირითადად სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთაგან ორი, შესაბამისი სამსახურის მიერ უკვე დაჯარიმებულია 12 ღერი საშეშე მერქნის მოჭრისთვის: "მერიდება, რომ უკვე მერამდენე თათბირია, კოლეგებს თავი მოვაბეზრე ერთი და იგივე თემაზე საუბრით. მაგრამ არანაკლებ მერიდება ჩემი თანასოფლელების, რომლებიც ზამთარს გათბობის გარეშე ხვდებიან. მათი უმრავლესობა კი ჩვილბავშვიანი ოჯახია. მაქვს წინადადება, ისევ მუნიციპალიტეტმა განკარგოს ტყეკაფვის ნებართვა. იმდენი ბარიერია სატყეოს, მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის, ეს ყველაფერი კი გლეხობას ხელს უშლის ნორმალურად გამოზამთრებაში და რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ოჯახები დაჯარიმების ობიექტები ხდებიან".

ნუგზარ ნუცუბიძეს ერთი წინადადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართითაც აქვს. კერძოდ, საკრებულომ მიიღოს დადგენილება, მოსახლეობას ვალდებულებად გაუხადოს თავისი საკარმიდამო ნაკვეთის წინ არსებული არხი გაწმინდოს.

ვალერიანე ფოცხვერია სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს დაჰპირდა, რომ მომავალ ორშაბათს სატყეოსანერგე მეურნეობის ხელმძღვანელობას შეახვედრებდა და მათთან კონსტრუქციულ საუბარს გამართავდა.

სამტრედიაში სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა მცირდება. ამან ერთგვარი თავსატეხი მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სფეროს სამსახურსაც გაუჩინა. დახმარებაჩამორთმეული მოსახლეობა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად, მათ შორის საბანკო კრედიტების დასაფარავად, გამგეობას აწყდება და ერთჯერად დახმარებას კატეგორიულად ითხოვს.

მუნიციპალიტეტის გამგეობას კი იერიში "მახინჯ ფორმულაზე" მიაქვს, რომლის შედეგებითაც დგინდება ვის ეკუთვნის სოციალური დახმარება და ვის არა.

30 ნოემბერს ორშაბათის ტრადიციულმა თათბირმა აღნიშნულ პრობლემაზე ემოციური საუბრების გარეშე, ბუნებრივია, ვერ ჩაიარა.

ეწერში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის, რევაზ ივანიაძის ინფორმაციით, მის თემში დაახლოებით 15-მდე ოჯახია გამზადებული დახმარება რომ უნდა შეუჩერდეს: "ამბობენ 15-ვეს მოეხსნება დახმარება. სოფელში საშინელი განწყობაა. ზოგს სესხი აქვს გაკეთებული, ზოგს ავადმყოფი ჰყავს სახლში და სოციალურის იმედად იყო. ყველა მათგანი ლევან ახობაძის სამსახურში მიდის და ითხოვს დახმარებას. რატომ ხდება ეს, ამაზე პასუხი არ მაქვს. მაგრამ თუ კი გადახედავთ სტატისტიკას, ეს ფორმულა ყველაზე გაჭირვებულს ირჩევს. ვფიქრობ, ნაჩქარევად არის მიღებული იგი, რითაც სუბსიდიების სააგენტო სარგებლობს. ეწრის თემში ლევან კახაძის და კვინიკაძეების მრავალშვილიანი ოჯახები მყავს, რომლებსაც ძალიან უჭირთ და ამის მიუხედავად დახმარება მოეხსნათ. თუ შეიძლება ვინმე დახმარებას ღებულობდეს, ეს ხალხია".

სააგენტოს მიერ შემოღებული ფორმულისა და მისგან გამომდინარე შედეგების შესახებ გულგრილად ვერ საუბრობს ლიზა კრავეიშვილი:

"სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების ახალმა მეთოდმა გამოიწვია მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება. გაიზარდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისადმი მომართვიანობა. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა უამრავი კერძო შემთხვევა. შედეგებიდან გამომდინარე მივმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგეენკოს. პასუხებს ვღებულობთ იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსისაგან, რომელიც არის შემდეგი: "ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის № 126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მუხლის შესაბამისად, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შემოწმება შესაძლებელია სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან, სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ."

დახმარებამოხსნილ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდაში პოლიტიკურ ნიშნებს ხედავს მუნიციპალიტეტის გამგებელი. ვალერიანე ფოცხვერია არც ამჯერად მორიდებია ეთქვა, რომ მოსახლეობის გაღიზიანება გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესში დევს.

"ეს ფორმულა მაინცდამაინც ჩვენს მომხრეებს როგორ არჩევსო", _ 30 ნოემბრის ტრადიციულ თათბირზე ამ ფრაზამ რამდენჯერმე გაიჟღერა.

# უკვე საოჯახო მედიცინის ცენტრი

ნათია ნაცვლიშვილი

1 თვეა, რაც აქ საოჯახო მედიცინის ცენტრი დაფუძნდა. დაწესებულებას ასე ეწოდება, "საოჯახო მედიცინის ცენტრი _ ბავშვთა საავადმყოფო". იგი მოემსახურება ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ პაციენტებს, როგორც მოზარდებს, ასევე ბავშვებს. საზოგადოება კარგად იცნობს საავადმყოფოს დირექტორს, შესანიშნავ, გამოცდილ ექიმ-პედიატრს, ქეთევან ფანცულაიას. ამჯერად ამ საავადმყოფოში დასაქმებულ ექიმებს ახალი კადრები შეემატნენ, თითოეულ მათგანს კარგად იცნობენ და პატივს სცემენ ჩვენს მუნიციპალიტეტში.



საოჯახო მედიცინის ცენტრში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით შემოთავაზებული ყველა მომსახურება და ანდონ თავიანთი ჯანმრთელობა კვალიფიციურ ექიმებს.

ცენტრის დირექტორი, ქეთევან ფანცულაია:

"ახალი ხელისუფლების პირობებში, უკვე მოგვეცა შესაძლებლობა, ჩავერთოთ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში. თქვენ იცით, პროგრამის "100 საავადმყოფო" ფარგლებში ისეთი პირობები წამოგვიყენეს, წარმოუდგენელი იყო ფეხი აგვეწყო ჯანმრთელობის თანამედროვე მოთხოვნებისადმი. უკვე დავიწყეთ პირველადი ჯანდაცვით, ჩავერთეთ ჯანდაცვის პროგრამაში და გვაქვს უფლება, ნებისმიერი მოქალაქე, მოზრდილი ან ბავშვი მივიღოთ ჩვენთან, გახდნენ ისინი ჩვენი ბენეფიციარები და მიიღონ ყველა ის შეღავათი, რაც დაწესებული აქვთ სახელმწიფოსგან.

ჩვენთან 1 ნოემბრიდან ამოქმედდა ეს პროგრამა და ჯერ ცოტა ბენეფიციარი გვყავს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მედიცინა უკვე იქცა ბიზნესად და სამედიცინო ბაზარზე ახალი მოთამაშეები ვართ. ამიტომ, ვაწყდებით კონკურენციას. ადმინისტრატორები, რეგისტრატორები პაციენტებს ეუბნებიან: რა გინდათ, იქ რატომ მიდიხართო? არა და, არავის აქვს უფლება, ვინმეს რაიმე აუკრძალოს. ნებისმიერი ბენეფიციარის სურვილი არის შეუზღუდავი, მას სრული უფლება აქვს, თავად აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება, ვიზიტი ოჯახის ექიმთან, სისხლის და შარდის ანალიზი, კარდიოგრამა და ა.შ. ყველა მომსახურება არ ფინანსდება 100%-ით, მაგრამ რაც ფინანსდება, დაფინანსდება ჩვენთანაც.

უკვე დავიმატეთ ექიმები და ძალიან კარგი კოლეგები შემოგვემატნენ, ესენი არიან: ოჯახის ექიმი, ნანა ცაგურია, ის პარალელურად არის გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის ექიმი, ასევე თერაპევტი ვახტანგ ლორთქიფანიძე. თითქმის ყველა მოქმედ ექიმთან გავაფორმეთ ხელშეკრულებები, შეიძლება ამ წუთას აქ არ იმყოფებოდეს ნევროლოგი, მაგრამ გაფორმებული მაქვს ხელშეკრულება თამაზ სპირანტთან და დოდო ავალიანთან. ავადმყოფს მიმართვის საფუძველზე შეუძლია მათგან კონსულტაციის მიღება. ადგილზე შევთავაზებთ ამ სერვისს ჩვენთან დაზღვეულ მოქალაქეებს.

საზოგადოება კარგად იცნობს ექიმებს, რომლებიც წლებია მუშაობენ ჩვენთან: ქალბატონები: პედიატრი მზია ორაგველიძე, ნევროლოგი და პედიატრი მაია ელიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. გვაქვს ლაბორატორია. აქვე, ამ შენობაში არიან გინეკოლოგი და სტომატოლოგი, მათთან ვიზიტი ასევე ხელმისაწვდომია".

ნანა ცაგურია: "ყველა ის სიკეთე, რაც აქვს სოციალურ დაზღვევას, ამიერიდან ჩვენთანაც იქნება ხელმისაწვდომი. პაციენტებს უფასოდ გავუკეთეთ რამდენიმე ანალიზი და ძალიან კმაყოფილნი წავიდნენ. ოჯახის ექიმთან კონსულტაცია უფასოა, დღეში 3-4 ჯერაც რომ მოვიდნენ, ასევე უფასოა ბინაზე ოჯახის ექიმის ვიზიტი. პირადად მე, 2008 წლიდან გადამზადებული ვარ როგორც ოჯახის ექიმი. აქ შესანიშნავი კოლექტივია, როგორც ექიმზე, ისევე ჩვენს მედდებზე დადებითის თქმა შემიძლია მხოლოდ".

# დახმარების ხელი განსაკუთრებული საჭიროებების მქონეთათვის

უკვე მესამედ, "ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებამ", დახმარების ხელი გაუწოდა სამტრედიელებს. ეს ააიპ-ი მცხეთაშია დაფუძნებული. იგი ჰუმანიტარულ ტვირთს ამერიკიდან იღებს და სრულიად უფასოდ ანაწილებს მთელ საქართველოში. სამტრედიელებმა იციან, რომ პირადი ნაცნობობის მეშვეობით, ამ ორგანიზაციასთან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა გააბა კავშირები. შემდეგ ურთიერთობები გაღრმავდა და მუნიციპალიტეტის გამგებელი და მაჟორიტარი დეპუტატიც ჩაერთვნენ მასში.



თავდაპირველადაც, როგორც ამჯერად, სოციალურ სამსახურში შესული განცხადებების საფუძველზე რამდენიმე ინვალიდის ეტლი გამოგზავნეს მცხეთიდან სამტრედიაში. ამას ინვალიდი ბავშვებისთვის სასწავლო ნივთები, მშრალი საკვები, ჰიგიენის საშუალებები და სხვა ინვენტარი მოჰყვა. გარდა ამისა, განაცხადის და საბუთების გარეშე დღის ცენტრ "ლამპარის" ერთი აღსაზრდელისთვის ეტლიც გამოატანეს კობა ძიძიგურს, რომელიც გაუცემელი შემთხვევით გახლდათ დარჩენილი. "ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გიორგი ატაშვილი, ძალიან გულისხმიერი და კეთილი ადამიანია. ერთი ვახსენე, რომ გვჭირდებოდა და მაშინვე ყველანაირი დოკუმენტაციის გარეშე "გვანდო" განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის ეტლი." _ ჰყვება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

რამდენიმე დღის წინ კვლავ 6 ეტლი გამოიგზავნა მცხეთიდან საჩუქრად. მათზე განაცხადი სოციალურ სამსახურში გახლდათ შესული. იგი, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ, მალევე გადაეცემათ მსურველებს. დაინტერესებული პირებისთვის ცნობილია რა სახის დოკუმენტაციაა საჭირო განცხადებაზე თანდასართავად. აქ აუცილებელია წონის გათვალისწინებაც.

კობა ძიძიგურისგან გავიგეთ, რომ თებერვალში კვლავ ელოდებიან ამ საკითხში დახმარებას გიორგი ატაშვილისგან, რადგან ამჯერად არ აღმოაჩნდათ იმ ტევადობის ეტლები, რაც ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარისთვის" არის გამოსადეგი. იქ სამი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდი ელოდება მას. "ამჯერად ვერ წამოვიღეთ ეს ეტლები, რადგან იმ წონისთვის განსაზღვრული არ ჰქონდათ, რაც საჭიროა მათთვის. დაგვპირდნენ, რომ თებერვლისთვის ამ პრობლემასაც მოგვიგვარებენ." _ აღნიშნა კობა ძიძიგურმა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია გულითად მადლობას უხდის "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებასა" და მის ხელმძღვანელს გაწეული დახმარებისთვის.

თეა ბაბუნაშვილი

# კიდევ ერთი ჯანელიძე

***დიდი ხანია გადავწყვიტე მასზე დამეწერა, თუმცა, ვერ იქნა და ვერ მოვიხელთე, სასაუბროდ ვერ ვნახე. არც გამკვირვებია ერთი შეხედვით, მოთხოვნადი კაცია, კვალიფიციური ექიმი. ერთეულები, დიახ, ერთეულები ჰყავს მისთანები ქვეყანას.***

სამტრედიაში დაიბადა.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თუ სად, რამდენ ხანს მუშაობდა, ქრონოლოგიურად არც ვიცით და არც ამ წერილის მიზანს შეადგენს ამაზე საუბარი.

ერთი სიტყვით, იმ ექიმზე ვწერთ, სამტრედიამ და ქვეყანამ რომ უნდა იამაყოს მისით და რომელიც კიდევ ათობით, ასობით ადამიანს აჩუქებს სიცოცხლეს.

‘‘მერაბ ექიმს არც კი ვახსოვარ უთუოდ, დიდი ხნის წინ ურთულესი ოპერაცია გამიკეთა, არავინ ელოდა ჩემს გადარჩენას, რისკზე წავიდა ექიმი. უფლისა და მისი წყალობით გადავრჩი. დღეს ჩემს ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან რომ ბედნიერად ვცხოვრობ, მერაბ ექიმის დამსახურებაა’’ _ გვიყვება ქალბატონი **ნანული ხუჭუა**, რომელმაც ურთულესი ოპერაცია ათიოდე წლის წინ გაიკეთა.




‘‘მუცლის ღრუს მწვავე ტკივილით რომ გადამიყვანეს საავადმყოფოში, მერაბ ექიმი დამხვდა იღბლად. გამიმართლა, დაგვიანებულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. არასოდეს დამავიწყდება ბატონი მერაბის თბილი დამოკიდებულება არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ ზოგადად პაციენტებისადმი’’ _ ამ თბილი სტრიქონების ავტორი **ვაჟა ნინუა** გახლავთ.

არაფერს ვამბობთ იმ ბებიას გაოცებაზე, დედის მიერ უარყოფილ შვილიშვილს რომ უვლიდა საავადმყოფოში მძიმე ოპერაციის შემდეგ და მაწონი, ფუნთუშები რომ შეუგზავნა ‘‘ვიღაცამ’’. მოგვიანებით გაირკვა, ის ვიღაც მერაბ ექიმი რომ ყოფილა, ყურადღებიან ექიმს არც ის გამოპარვია მხედველობიდან, ბებიაშვილიშვილს არავინ რომ არ აკითხავდა და მომვლელის თუ მნახველის, ერთი სიტყვით, ავადმყოფის ჭირისუფლის ფუნქციაც თავად შეითავსა ჩუმად და უხმაუროდ.

_ რამდენიმე ხნის წინ მედია, საზოგადოება კიდევ ერთ სასწაულზე ალაპარაკდა მერაბ ექიმის ნიჭის, პროფესიონალიზმის წყალობით რომ განხორციელდა. იმ ფაქტზე ვყვებით, შეყვარებული გოგონა მაღლიდან რომ გადმოაგდო ‘‘გულისსწორმა’’. რომ იტყვიან მკვდრეთით აღადგინა ექიმმა ავადმყოფი. დიდხანს, დიდხანს იყო და იქნება ეს თემა შუა ასაკს მიტანებული ექიმი კაცის მოღვაწეობის სამშვენისად.

თანდათან ვითარდება ცხოვრება, მედიცინა. მედიცინის მუშაკებიც ახალი გამოწვევების წინაშე დგანან და მერაბ ექიმიც მარადის ძიებით არა თუ მიჰყვება, უსწრებს დროს. მადლი მადლს, სიკეთეს სიკეთე ემატება და...

გვეამაყება, (სრულიად სამტრედიას უნდა ეამაყებოდეს) რომ საქართველოში და არა მარტო საქართველოში სიცოცხლის სადარაჯოზე სამტრედიელი მაღალკვალიფიციური დასტაქარი, მერაბ ჯანელიძე დგას.

‘‘კარგი მეგობარი, ბრწყინვალე პროფესიონალი, ღირსეული სამტრედიელი, ვამაყობთ მისი ქართველობით, სამტრედიელობით’’. _ ასეთი კომენტარი გააკეთა მერაბ ჯანელიძეზე ღვაწლმოსილმა ექიმმა, ქალბატონმა ლუარა კახიანმა.

იგი იმ მედიკოსთა შორისაა, ვისაც სწამთ, სჯერათ, ეიმედებათ, რომლითაც ამაყობენ.

გამორიცხული არაა ტენდენციურობაც დაგვწამონ, მტერი თუ არა, მოშურნე აუცილებლად ეყოლება მერაბ ექიმს, როგორც ყველა გამორჩეულ, ღირსეულ ადამიანს. ამაოდ როდი დაიგრგვინა გენიოსმა _ ‘‘ცუდას რად უნდა მტერობაო...’’ ისიც ხომ გაგვიგონია _ საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ ნიჭიერების გარდაო!

რას ვიზამთ?..

ამ დღეებში პროფესიულ დღეს აღნიშნავენ ქართველი მედიკოსები. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ვთქვით ორიოდე სიტყვა ჩვენს სახელოვან თანამემამულეზე, კიდევ ერთ ღირსეულ ჯანელიძეზე, ამაყად, ღირსეულად რომ აგრძელებს ასევე სამტრედიელი, მსოფლიოში აღიარებული დასტაქრის იუსტინე ჯანელიძის გზას.

***ლევან გაბეჩავა***

# ახალი სიცოცხლე ძველი ექსპონატებით

**ლევან გაბეჩავა**

სამტრედიელთათვის და არა მარტო მათთვის, კარგადაა ცნობილი, თუ რა კოლოსალური შრომა გასწია თავის დროზე ქალბატონმა გულიკო ცინცაძემ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის სრულყოფისათვის.



იდეა _ კაბინეტის ბაზაზე მუზეუმის ჩამოყალიბებისა, მართალია ჯერჯერობით იდეადვე რჩება, თუმცა, მხარეთმცოდნეობის განყოფილება, რომელიც ისევ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაქვემდებარებაშია, ამ დღეებში რამდენადმე გაფართოვდა, ექსპონატებიც თვალსაჩინოდ განათავსეს. მხარეთმცოდნეობის განყოფილების საცავებში ჩვენი სტუმრობაც ამ ფაქტმა განაპირობა.



საექსპოზიციო დარბაზში ჩვენი ყოფის, ისტორიის უტყვი მემატიანე, უამრავი საინტერესო ექსპონატია გამოფენილი: საწნახელი, თუნგები, ფარდაგები, ხალხური საკრავები, ფოტოები, წიგნები... ნამდვილად რომ ყურადღებას იპყრობს.

მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგე, გულიკო ცინცაძე, უფროსი სპეციალისტი ლევან კრავეიშვილი, მეცნიერ-მუშაკი მაკა ქუთათელაძე რუდუნებით ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

_ როგორც ხედავთ გავფართოვდით, მუშაობის ნორმალური პირობები გვაქვს, საკონფერენციო დარბაზი, სამუშაო ოთახი და საექსპოზიციო დიდი დარბაზი უკვე იძლევა საშუალებას, რომ მნახველმა დაათვალიეროს ექსპონატები. მხარდაჭერისა და თანადგომისათვის ქალბატონი გულიკო ადგილობრივ ხელისუფლებას დიდ მადლობას მოახსენებს, ხოლო, მოსწავლე-ახალგაზრდებს, საზოგადოებას თხოვს მონაწილეობა მიიღონ საშვილიშვილო საქმეში და მხარეთმცოდნეობის განყოფილებას ახალი სიცოცხლე ძველი ექსპონატებით შესძინონ.

შემოდგომის მწველი მზეა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან გამოსულს თვალი მშენებარე სამღვდელმთავრო რეზიდენციისაკენ გამექცა. კოშკურა-ამწე შეუსვენებლად მუშაობს, აგურს აგური, იმედს იმედი ემატება. მშენებლობის უფროსი, ბატონი ჯონი ნადირაძე, როგორც ყოველთვის იქვე იყო, უახლოესი ნომრისათვის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხთა ირგვლივ სასაუბროდ მისგან თანხმობა მივიღეთ და...

ამჯერად ამ ინფორმაციით დავკმაყოფილდეთ. დიდი დრო არაა საჭირო საიმისოდ, 145 წლის სამტრედია მხარეთმცოდნეობის მუზეუმითაც რომ იამაყებს.

# გამოხმაურება წიგნზე “მარადიულს გავუფრთხილდეთ”

ბატონი თემური წლებია პოეტი და პედაგოგია, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურება. ბედნიერებაა, ასეთი სულის ადამიანი, ასეთი მწერალი რომ ასწავლის მომავალ თაობას. ბედნიერია ბატონი თემურის მკითხველიც, რამეთუ მას ჭეშმარიტ პოეზიასთან უწევს შეხვედრა. იგი ნამდვილი, წრფელი სტრიქონების ავტორია, რომლებშიც მისი იშვიათი, ადამიანური თვისებები ვლინდება. იცის, რომ დღევანდელი ქართველი არაფერია თუ წინაპართა ნაფიქრ-ნააზრევი დაივიწყა, ხვალინდელიც არაფერი იქნება, თუ დღევანდელობას არ იწამებს.

ბატონი თემური ჩვენი ბიბლიოთეკის ერთგული მეგობარია. იგი ხშირად გვსტუმრობს, გვიამბობს თავისი შემოქმედების შესახებ და გვამხნევებს. ბიბლიოთეკას სულის სიმშვიდისა და დასვენების ადგილს უწოდებს. სხვებთან ერთად ქმნის კულტურულ-ლიტერატურულ გარემოს, რაც ძალიან სჭირდება არა მარტო ჩვენს სამტრედიას, არამედ ქვეყნის მთლიანობას, მის ერთიანობას. ბედნიერებაა თუ ყველგან მრავლად გვეყოლება ლამაზი და მართალი სიტყვის მთქმელი კაცი, ერის ბედზე მოფიქრალი და პოეტის სიფაქიზით მის მაჯისცემას დაყურადებული. სწორედ სამშობლოს მაჯისცემასა და უფლის დიდ სიყვარულს ემსახურება თითქმის ყველა მისი ნაწარმოები: ‘‘წუთისოფლიდან უფლის გზამდე’’, ‘‘ჯვარცმული საქართველო’’, ‘‘ჩახერგილი გზაბორძალი’’, ‘‘შინდისის გმირები’’, ‘‘გზა უფლისა’’ და სხვები. შეძლო და ერთმანეთს შესანიშნავად შეუთავსა, შეუხამა სიყვარული უფლისა და პოეზიისა. მან ეს გააკეთა მისთვის ჩვეული ოსტატობით, იმ დიდი პოეტური ენერგიის სრული მობილიზებით, რომელსაც, ალბათ, ახალგაზრდობიდანვე გრძნობდა თავის თავში და რომელიც ახალი ძალით, ახალი ბრწყინვალებით გამოავლინა ლექსების კრებულში ‘‘გზა უფლისა’’. რაც შეეხება წიგნს _ ‘‘მარადიულს გავუფრთხილდეთ’’, რომლის პრეზენტაციაც უკვე იყო, მთელი სული და გული აქვს ჩადებული და უზარმაზარი შრომა გაწეული. შექმნა ისტორია № 3 საჯარო სკოლისა, რომელმაც ეს გზა 50 წლის მანძილზე გაიარა. მთელი ჩვენი კოლექტივი თვითმხილველია იმისა, თუ როგორი ენერგიით, როგორი ენთუზიაზმით აგროვებდა მასალებს, თხოვდა ყველას მიეწვდინათ მისთვის, რომ ვინმე არ გამორჩენოდა, რა თქმა უნდა, ბევრი დარჩა კიდეც. ბედნიერია ის სკოლა, რომელსაც ასეთი გულშემატკივარი ჰყავს აღზრდილი. ალბათ, ბევრი სკოლა არის იუბილარი, მაგრამ წიგნი არ დაუწერიათ მათზე. ბატონმა თემურმა ეს შეძლო. იგი დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს მის აღმზრდელ პედაგოგებს და მეგობრებს; ასევე ახალი თაობის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. წიგნში სკოლის განვითარების ისტორია ეტაპობრივად არის განხილული. შიგადაშიგ ჩართულია მისი არაჩვეულებრივი ლექსები სკოლაზე, მასწავლებელზე, სამტრედიაზე, შინდისის გმირებზე, რელიგიური თემაც საკმაოდ აქვს წარმოდგენილი, რომელიც ალბათ ძალიან გამოადგება, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას. სკოლებში უნდა განიხილონ ეს წიგნი. მჯერა, წინამდებარე გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს იმ პირებს, ვინც დაინტერესდება №3 საჯარო სკოლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით. ზოგიერთს შეიძლება გაუჩნდეს კიდეც სურვილი დაწეროს თავისი სკოლის ისტორია. გმადლობთ ბატონო თემურ, რომ თქვენ ხართ სამტრედიის მკვიდრი, ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, გულშემატკივარი და ერთგული მეგობარი. თქვენ სრულიად დამსახურებულად მოიპოვეთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატის წოდება. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ დიდ წარმატებებს შემოქმედებით გზაზე.




***რუსუდან კახიანი***
***მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი***

# ენერგოდისპეტჩერი!

საქართველოს რკინიგზაზე, როგორც საერთოდ სარკინიგზო ტრანსპორტზე, ელექტრომომარაგების მეურნეობის გამართულ მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკონტაქტო ქსელისა და წევის ქვესადგურების საიმედოობას, რაც თავისთავად განსაზღვრავს მატარებლების მოძრაობას, ანუ ტვირთების დადგენილ ვადებში გატარებას და მგზავრთა დროულად გადაყვანას.

მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების ნაკადის გადაზიდვის შეუფერხებელი გატარებისათვის დაულალავად მუშაობენ ენერგოდისპეტჩერები, რომლებიც ემსახურებიან სამტრედია-ბათუმის, ზუგდიდის, ჭიათურის, ტყიბულის უბნებს. მატარებლებმა რომ უსაფრთხოდ იმოძრაონ, აუცილებელია საკონტაქტო ქსელზე სტაბილური იყოს ძაბვა, არანაკლებ 3000 ვოლტისა, ასევე უნდა მუშაობდეს ავტობლოკირების მაღალი ძაბვის ხაზი, რომელიც კვებავს ყველა სასიგნალო დანადგარს, შუქნიშნებს, რომელიც ნებას რთავს მემანქანეს იმოძრაოს ამა თუ იმ უბანზე. ასევე, ენერგოდისპეტჩერის ვალია, საკონტაქტო ქსელის დაზიანების შემთხვევაში ბრიგადებს დროულად გაუკეთოს მობილიზება და აღადგინოს ხაზი. ამ მიმართულებით ბევრი გაკეთდა და მეტის გაკეთება იგეგმება. მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე, დასავლეთ რეგიონის რკინიგზაზე, ბათუმის ახალ რკინიგზის სადგურში, ოთხ ლიანდაგზე ახალი საკონტაქტო გამტარი დამონტაჟდა, ასევე საკონტაქტო გამტარები შეიცვალა საჯავახო-ნიგოეთი-ურეკი-ნატანების, სვირი-არგვეთის და სხვა უბნებზე. ნატანების წევის ქვესადგურიდან რკინიგზის სადგურამდე დამონტაჟდა ახალი ავტობლოკირების ხაზი, რომელიც შეუფერხებლად კვებავს სასიგნალო მოწყობილობებს მატარებლების უსაფრთხო მოძრაობისთვის. რკინიზგის დაუცველ გადასასვლელებზე დამონტაჟდა ვიდეოთვალი, ხმოვანი სიგნალები, განათება, სამტრედია-ბათუმი-ფოთი-ზუგდიდის მიმართულებით, რითაც უზრუნველყოფილნი იქნა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა. ყოველივე ამის განმსაზღვრელი ფაქტორია უწყვეტი ელექტრომომარაგება, რაშიც დიდი წვლილი შეაქვთ სარკინიგზო ენერგო (ელექტრო) დისპეტჩერებს.

ზემოაღნიშნულ მუშაობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ და ნაყოფიერად იღვწიან ენერგო (ელექტრო) დისპეტჩერები: ზაალ სტურუა, მერაბ კრავეიშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, ერემია ფხაკაძე, მალხაზ თავაძე, ედუარდ ნუცუბიძე, გურამ ხურცილავა, დავით რამიშვილი, გია გოგავა, ზვიად ფანცულაია, ლევან ცირეკიძე, გრიგოლ ჯოჯუა, ბადრი ჩარკვიანი და უფროსი დისპეტჩერი ავთანდილ გოგავა.

***რევაზ შამათავა***

# გიწვევთ ანუშკი აზიანიძე!

***"ციცქნა, ძალიან ციცქნა. თვალებხატულა, ძალიან თვალებხატულა. მხოლოდ ოთხი წლის, ულამაზესი კულულებითა და უდარდელი ბავშვობით... მურმან ბერულავას "საქანელა" მისთვის თითქმის შეუცნობელი ასაკის სიმბოლოდ იქცა... მოფერებით ყველა "ანუშკას" ეძახდა. ასე დაიწყო მისი ცხოვრების თავფურცელი". – ბატონმა მამუკა მხეიძემ ჩვეული ენაწყლიანობით გახსნა საღამო, საღამო, იუბილარ ანა აზიანიძის შემოქმედებას რომ ეძღვნებოდა.***



დასაწყისშივე იგრძნობოდა წარმოდგენის დახვეწილობა. ჯერ დახურული ფარდის მიღმა გაისმა ოთხი წლის ანას ნამღერი, ხოლო შემდეგ... მუსიკოსს შვილები უმშვენებდნენ გვერდს, ამაყი, უზომოდ ბედნიერი იყო მშობლის ამპლუაში მყოფი ანა აზიანიძე იმ დროს.

ნია გიგინეიშვილი, ნინო ნიკოლეიშვილი, ნინი თავაძე, ელენე ესებუა – ბავშვები, უმცროსი თაობის "იმედელები" ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და სცენას ზღაპრული მელოდიებით მრავალფეროვნად რთავდნენ.

ანა აზიანიძის ნიჭიერების კიდევ ერთ გამოხატულებად მისეული ვერსია დაასახელეს "ჩხიკვთა ქორწილისა". "იმედის" უფროსი თაობა მიუზიკლის წარმატებულობაში გვარწმუნებდა ისევ.



ულოცავდნენ ანა აზიანიძეს, კარგ მუსიკოსს, შემოქმედს, მზრუნველ დედას, ყურადღებიან პედაგოგს. ნათელა ჯიმშელეიშვილი, დალი დავითაია, მარინა ვარდანიძე, მათთან ერთად კი – დღის მთავარი გმირი. კორნელი ჩიხლაძის ლექსზე კომპოზიტორ მზია ჯინჭველაშვილის შექმნილი სიმღერა შეასრულა კვარტეტმა.

დაბადების დღე სიურპრიზების გარეშე წარმოუდგენელია. "მილიონი ვარდიაო" დარბაზში, მესაყვირე დემურ სულაბერიძის აღსაზრდელებმა ნამდვილად გააოცეს მსმენელი, საბა ჩაჩუამ და ამირან სულაბერიძემ ნაცნობი კომპოზიციით, თუმცა ჩვენს ქალაქში ნაკლებფეხმოკიდებული ინსტრუმენტით, დაიმსახურეს აპლოდისმენტები.



– ამ დიდებულ ქვეყანაზე ყველაზე ამაღლებული ქმნილება ადამიანია! ადამიანები ბავშვობიდან მოვდივართ, საოცარი ფერებით სავსე ქვეყნიდან. მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს ანა აზიანიძე "იმედის" ხელმძღვანელმა, უნიჭიერესმა მუსიკოსმა, ვირტუოზმა შემსრულებელმა, ბატონმა თამაზ დუნდუამ აზიარა. თვალცრემლიანებმა მოიგონეს წასვლის შემდეგაც მნათობად დარჩენილი მაესტრო.

"მეგობარს, ულალატო ადამიანს უნდა მივულოცო დღევანდელი დღე. წლებია ერთად მოვდივართ. ანა შემოქმედებითი დახვეწილობის გარანტია. ვუსურვებ, ის ნიშა, მას რომ უჭირავს არ გაფერმკრთალებულიყოს". – აღნიშნა ქალბატონმა ტატა გოგუაძემ და იუბილართან ერთადაც უმღერა დარბაზს.

"ცოტა კიდევ მოითმინე გულო", – ანა აზიანიძე სოლო ნომრით წარდგა მსმენელთა წინაშე, შემდეგ – "თბილისო".

მუსიკის სიყვარული საოჯახო ტრადიციად უქცევიათ აზიანიძეებს. ამის დასტურად და-ძმის გამოსვლაც კმაროდა.

საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდთან ნამღერი "დავალ საყვარელ ქუჩებში" გამორჩეულ აკორდად გაისმა კულტურის ცენტრში. ბატონ ვალერი ჩაჩუასაც უხმეს. ვარდები მიართვა მეუღლემ საყვარელ ქალბატონს და მასთან დიდხანს თანაცხოვრება ისურვა.

სცენა ბავშვებით გაივსო, ფერად-ფერადი კონფეტები ცვიოდა დაგროვილ ემოციებად.

"დღევანდელი დღით უზომოდ კმაყოფილი ვარ. ცოტა არ იყოს ვშიშობდი, გამოვიდოდა თუ არა ისეთი, როგორიც ეკადრება სამტრედიელ პუბლიკას. ალბათ, რაღაც შევძელი ჩემი აღსაზრდელების, მსმენელების, გულშემატკივრების სიყვარულით... მადლობას ვუხდი კულტურის ცენტრს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მათ ხელმძღვანელებს: ბატონ ვეფხია ნადირაძეს, ქალბატონ ტატა გოგუაძეს, ასევე წამყვანებს: თინათინ გაბელაიასა და მამუკა მხეიძეს". – ემოციებს გვიზიარებდა ქალბატონი ანა.

საღამოს შესახებ მოწვეული სტუმრებიც გვესაუბრნენ:

ლიზა კრავეიშვილი: მოხიბლული ვარ, როგორც მთელი დარბაზი! მნიშვნელოვანი დღეა, არამარტო იუბილარისთვის, არამედ სამტრედიისთვისაც. ვულოცავ მას და ვუსურვებ წარმატებული შემოქმედებითი გზა სახელოვნად გაეგრძელებინოთ ანას აღზრდილებს, პირველ რიგში კი – შვილებს, რომლებიც ბრწყინვალედ წარმოჩნდნენ დედის გვერდით!

ნატალია მანჯგალაძე: ჩემი უახლოესი მეგობრის, თამაზ დუნდუას დაფრთიანებულია ანა აზიანიძე. როგორ შეიძლება არ მიყვარდეს იგი, გამორჩეული ხელწერითა და საშემსრულებლო მანერით. გულმხურვალედ ვულოცავ! წარმატებული დასასრული ჰქონოდეს მის ყველა წამოწყებას!

თინა ხარძიანი: უძვირფასეს და უსაყვარლეს მეგობარს ვულოცავ დაბადების დღეს. იგი მომყვება იმ წლებიდან, ჩემი ლამაზი ბავშვობა რომ ჰქვია. ანა გამორჩეულია მეგობართა სიმრავლითაც. შეუძლია, ყველასთან გამონახოს საერთო ენა. ტატა გოგუაძის, თინიკო ქიშმარეიშვილის, ნინო რევიშვილის, თინიკო მგელაძის, თამილა დუნდუას, ანა აზიანიძის თაობას ვეკუთვნი. გული მწყდებოდა, რომ მიზეზთა გამო, ვერ გავხდი "იმედელი", თუმცა ოცნება შვილის, ბარბარე მიქელთაძის "იმედში" ამღერებით ავიხდინე".

ზაზა ადეიშვილი: როგორც ერთ-ერთი თანაქალაქელი, ამაყად ვგრძნობ თავს! კონცერტი დასრულდა, მაგრამ ემოციები, ჯერაც არ განელებულა. იგი ცეროდენა გოგონად მახსოვს ნაფალაურის რვაწლიან სკოლაში. მე ვამთავრებდი, "ანუშკი" კი პატარა, კულულებიანი გოგონა იყო. გავიდა დრო და მან დაამშვენა ჩვენი ქალაქი. მაქვს განცდა, იმედი, რწმენა, ანა ათეულობით წლის მანძილზე გვეყოლება, მისი მერცხლები კი ხმატკბილად იჭიკჭიკებენ".

საბა ჩაჩუა და მარიამ შენგელია: "დაბადების დღეს ვულოცავთ მზრუნველ, მოსიყვარულე ადამიანს. ყოველი ჩვენგანის წარმატება ანა აზიანიძის დამსახურებაა. არ მოგვკლებოდეს მისეული რჩევა-დარიგებები, ის ჩვენი უფროსი მეგობარია".

ნონა ჭახნაკია: მუდამ მეიმედება ნიჭიერ მუსიკოსად და გვერდშიმდგომ პიროვნებად. მისი სახელი პროფესიონალიზმთან ასოცირდება. ბავშვები, დღეს რომ გარს ეხვივნენ, ანას სიმდიდრეა – ღვთისგან ბოძებული".

კობა ძიძიგური: პირველყოვლისა ანას გამორჩეულობას გავუსვამ ხაზს. ის არაფერს იშურებს მისი შვილების თაობის კეთილდღეობისთვის. ეს უნდა ახასიათებდეს ადამიანს, რომელიც გარკვეულ პროდუქტს ქმნის. ანა აზიანიძე ამართლებს იმედებს და ნორჩი "იმედელების" სახით ახალგაზრდობის ნათელ მომავალზე ზრუნავს.

ნუგზარ ჯამბურია: საღამოს პედაგოგის თვალით ვუყურებდი. დიდი ბედნიერებაა, მოსწავლე, აღზრდილი რომ გაგიმართლებს იმედებს. ამის ფუფუნება ანა აზიანიძეს ნამდვილად აქვს. აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით. მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი, უსმენ და გრძნობ, რომ სცენაზე ჭეშმარიტი ხელოვანია".

ვალერი ფოცხვერია: "ანას ბავშვობამ ჩვენ თვალწინ გაიარა. დარბაზში გამოფენილ სურათებზე მეხსიერებაში შემორჩენილი "ანუშკას" სახე დავინახე. უფლის მფარველობას, შემოქმედებით გაუხუნრობას ვუსურვებ თავის ლამაზ, ნიჭიერ ოჯახთან ერთად".

**შოთა კაკავა**

# წარმატებას წარმატება მოჰყვა და...

"ლადი" უკვე ის ფოლკ-ჯგუფია არამარტო სამტრედიაში, საქართველოში რომ იცნობენ. "არწივები კავკასიიდან" – ფესტივალი ერთობ ნაყოფიერი აღმოჩნდა მათთვის. ორიგინალურობას არც ამჯერად უღალატეს. გამარჯვებით დაბრუნებულებმა სპეციალური მადლობის წერილები მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიასა და საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას გადასცეს. ცნობისთვის, მსგავსი წერილები ფესტივალის ორგანიზატორებმა იმერეთის მხარის გუბერნატორს, ბატონ გივი ჭიჭინაძესა და საზოგადოება "სამტრედიელის" ხელმძღვანელს, ბატონ თამაზ მურღულაიასაც გამოუგზავნეს.

ვალერიანე ფოცხვერია: "მადლობის გარდა რა მეთქმის?! ადგილობრივი ხელისუფლება მუდამ იქნება ისეთთა გვერდით, როგორებიც თქვენ ხართ! არ მოგკლებოდეთ წარმატებები, მიგეღწიოთ დასახული მიზნებისთვის! ჩვენ ვამაყობთ და ვიამაყებთ თქვენით".

ნუგზარ ჯამბურია: "ფეხზე უნდა წამოვდგე, ამით კიდევ უფრო ღიად გამოვხატავ სიხარულს, აღფრთოვანებასა და პატივისცემას. გმადლობთ ყველაფრისათვის! ერთს გისურვებთ, წელთა სვლამ არათუ გააუფერულოს თქვენი შეხმატკბილება, არამედ გაამყაროს, ფესვმაგარობა შესძინოს!"

ბეჟან გოგია: "სასიამოვნოსთან ერთად, საპასუხისმგებლოა ის სიტყვები, ჩვენი მისამართით რომ ითქვა. დაუღალავად მუშაობამ მონდომებამ, ბავშვების – "კავკასიელი არწივების" ნიჭიერებამ შედეგი გამოიღო. "ლადი" გაამართლებს კეთილისმსურველთა იმედებს!"

**შოთა კაკავა**







# ცოტა იუმორი, ცოტაც თავის ქება და ბევრი ლექსი



ამჯერადაც სავსე იყო მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

ერთობ არაორდინალურ, თუმცა, აშკარად ნიჭიერ კაცს, ქართული მწერლობის მეხოტბეს – გოდერძი სუქნიძეს მასპინძლობდნენ შეკრებილნი.

ნოე ჩხიკვაძე, ტერენტი გრანელი, აკაკი, ილია, ვაჟა... აღმაფრენით, ხატოვნად წაიკითხა ბატონმა გოდერძიმ და აპლოდისმენტებიც არაერთხელ დაიმსახურა.

დარბაზი განსაკუთრებით მაშინ მოხიბლა მჭერმეტყველებით სტუმარმა, როცა გალაკტიონის "მთაწმინდის მთვარე" "გალაკტიონისებურად" წაიკითხა.

მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს გვადარა დარბაზში მსხდომნი ორატორმა, მადლობა გადაგვიხადა შეკრებილთ და ისევ შეხვედრის დიდი სურვილით დაგვემშვიდობა.

ჩვენ კი, ჩვენ ერთი საათით ვიმოგზაურეთ პოეზიის სავანეში.

**ლევან გაბეჩავა**

# კალენდრის ისტორიიდან

''კალენდარი'' ლათინური სიტყვაა და თვის პირველ დღეს ნიშნავს. იგი დროის პერიოდებად _ დღეებად, კვირეებად, წელიწადებად, საუკუნეებად დანაწილებასა და აღრიცხვას, მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეცნიერულ ძიებებში გამოყენებას გულისხმობს.

კალენდარი _ ''კალენდარიუმ'' თავდაპირველად წარმოადგენდა წიგნს, სადაც სადაც დაფიქსირებული იყო რომაელ მოქალაქეთა ვალები და გადახდის ვადები, რაც უმთავრესად თვის პირველ რიცხვს უკავშირდებოდა. თუ ტერმინი ''კალანდა'' თვის პირველი რიცხვის აღმნიშვნელი იყო, სიტყვა ''იდუსი'' თვის მეცამეტე და მეთხუთმეტე რიცხვებს შორის გამყოფ რიცხვს ნიშნავდა.

მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დროის დღეებად და წლებად დაყოფა კაცობრიობამ შუმერებისაგან ისწავლა. ადამიანთა ცივილიზაციის შემოქმედმა ამ გასაოცარმა ხალხმა ჯერ კიდევ 45 საუკუნის წინ იცოდა მზის სისტემის 12 პლანეტის არსებობა (დღეს მეცნიერებმა მხოლოდ 9 ასეთი პლანეტის) მათი გაანგარიშება ტროპიკული წლის ხანგრძლივობისა, სულ მცირედით განსხვავდება თანამედროვე გათვლებისაგან. შუმერები, რომელიც სტალინს დიდი ალბათობით ქართველთა მონათესავე ხალხად მიაჩნდა (თუ არა მის შორეულ წინაპრად) კვირის დღეებს მოძრავი პლანეტების სახელით მოიხსენიებდნენ _ მზის დღე, მარსის დღე, იუპიტერის დღე, მერკურის დღე, მთვარის დღე, სატურნის დღე. ამასთან კვირის ბოლო სატურნის დღეს შაბათს _ ''Sabbat''-ს უწოდებდნენ.

დღეთა ამ დასახელებებს შემოდგომში იყენებდნენ ქალდეველები (რომელთაც მეცნიერთა ერთი ნაწილი ასევე ქართველთა წინაპრებად მიიჩნევს) და ძველი რომაელები.

საუკუნეთა მანძილზე არსებობდა და არსებობს მზისა და მთვარის კალენდარი. ამასთან უფრო სრულყოფილადაა მიჩნეული წელთაღრიცხვის მზის კალენდართან დაკავშირებული სისტემა. იგი მოიცავს დროის შედარებით დიდ მონაკვეთს _ ტროპიკულ წელიწადს, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება მზის ირგვლივ დედამიწის ერთი გარემოქცევის დროით. დღევანდელი გაანგარიშებით წლის ხანგრძლივობა მზის კალენდრის თანახმად შეადგენს 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს.

უკვე მრავალი ათეული საუკუნეა, რაც ცივილიზებული კაცობრიობა, ცის სხეულთა მოძრაობის შესაბამისად განსაზღვრავს ცის სხეულთა მოძრაობას. კერძოდ, მზის ჩასვლითა და ამოსვლით მთვარის ფაზების მონაცვლეობით, საკუთარი ღერძისა და მზის გარშემო დედამიწის ერთი შემობრუნებით, წელიწადის დროთა მონაცვლეობით.

დროის მონაკვეთთა შორის ნათლად გამოსახული და ადამიანთა საქმიანობასთან ყველაზე მეტად დაკავშირებულია დღე-ღამე, რომლის ხანგრძლივობა განიზომება დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ერთი მობრუნებით, რაც დროის უცვლელი ერთეულია. დღე-ღამის ხანგრძლივობა კი განსაზღვრულია 24 საათით და იგი ორად იყოფა _ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და პირიქით.

მთვარის კალენდარი, სპეციალისტთა მტკიცებით უფრო ადრინდელია, ვიდრე მზის, რომელსაც კიდევ 45 საუკუნის წინ იყენებდნენ შუმერები. მთვარის სისტემას ადრეული საუკუნეებიდან იყენებდნენ ინდოელები, ჩინელები და მსოფლიოს სხვა ხალხები. მთვარის კალენდარი არაერთ ქვეყანაში გამოიყენება დღესაც. ასეთი ქვეყნებია ერაყი, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, სირია და სხვა, სადაც მთვარის კალენდრის ამ სისტემას ჰიჯრას უწოდებენ.

მთვარის კალენდრის მზის კალენდართან შედარებით უფრო ადრეული გამოყენება განაპირობა იმ გარემოებაც, რომ მთვარის ფაზის მონაცვლეობა უფრო ადვილად შესამჩნევი და აღსაქმელია, ვიდრე მზის ირგვლივ დედამიწის გარემოქცევა და მასთან დაკავშირებული სეზონური ცვლილებები.

როგორც მთვარის, ასევე მზის წელთაღრიცხვის თანამედროვე, სისტემა სათავეს იღებს რომის სახელმწიფოს ადრეული პერიოდიდან. ტრადიციის თანახმად კალენდარი შემოუღია რომის დამაარსებელსა და მის პირველ მეფეს _ რომულუსს, რომელსაც განუსაზღვრავს მთვარის წელიწადის ხანგრძლივობა და იგი 10 თვედ დაუყვია.

წლის პირველი თვისათვის ეწოდებიათ მარტი, ომის ღმერთის მარსის საპატივცემულოდ. რომელსაც რომულუსის მამად მიიჩნევდნენ. მეორე თვისათვის დაურქმევიათ აპრილი _ მზით გამთბარი. რომელიც ამავდროულად ქალღმერთ აფროდიტეს თვედ ითვლებოდა. შემდეგ თვეს ეწოდა მაისი, ღმერთ მერკურის დედის მაიას სახელი. წლის მეოთხე თვისათვის დაურქმევიათ ივნისი _ ქორწინებისა და ცოლ-ქმრობის მფარველი ღმერთის, იუპიტერის მეუღლე _ იუნონასადმი პატივისცემის ნიშნად.

წლის შემდგომი თვეები მოიხსენიებოდა რიგითობის მიხედვით: მეხუთე თვე _ Quintilis, მეექვსე _ sextilis, მეშვიდე _ sentember, მერვე _ oqtober, მეცხრე _ November, მეათე თვე _december-ი.

თვეთა ამ სახელწოდებებს, 28 საუკუნის შემდეგ კვლავ იყენებს კაცობრიობა. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე და მეექვსე თვე. მას შემდეგ, რაც წელიწადის ათ თვეს დაემატა ორი თვე იანვარი და თებერვალი, აღნიშნული თვეების სახელები ამოღებული იქნა ხმარებიდან. ამასთან ამ თვეებს Quintilis-ს (მეხუთესა) და sextilis-ს (მეექვსეს) იულიუს ცეზარისა და ოქტავიანე ავგუსტუსის საპატივცემულოდ შესაბამისად ივლისი და აგვისტო ეწოდა.

რომის მეორე მეფე ნუმა პომპილუსს წელიწადი 12 თვედ დაუყვია, რომელსაც მისი წინაპრის რომულუსის კალენდარით დადგენილი 10 თვისათვის მიუმატებია იანვარი _ ჟამათა საწყისისა და დასასრულის ღმერთის იანუსის სადიდებლად და თებერვალი. ეს უკანასკნელი ლათინური სიტყვაა და გაწმენდას, ამ მიზნით მსხვერპლთშეწირვას უკავშირდება.

რომში შემოღებული ეს კალენდრები მთვარის წელიწადის პრინციპზე იყო დაფუძნებული და მისი ყოველი თვის დადგომა საჯაროდ სათანადო ცერემონიალით აღინიშნებოდა _ დიდი ფონტიპიკი ბადრი მთვარის დადგომას აუწყებდა, რაც რომაელ მოქალაქეებს ოფიციალურად აუწყებდა და აცნობდა იმ დღეებს, როდესაც ნებადართული იყო სახალხო კრებების, სასამართლოების და სხვა ტრადიციული, ოფიციალური ღონისძიებების ჩატარება. ასევე, ხაზგასმით მიანიშნებდა იმ დღეებსაც, როდესაც, ამა თუ იმ თვალსაზრისით, იკრძალებოდა რიგი მასობრივი ღონისძიებების ჩატარება.

კალენდრის სრულყოფისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა, ძვ. წ. აღ.-ის V საუკუნის უდიდესი მოღვაწის, მეტონის მიერ ბერძნული მთვარის კალენდრის, მზის კალენდართან შესაბამისობაში მოყვანას. მეტონმა წლის ხანგრძლივობა განსაზღვრა 365 და ხუთი მეცხრამეტედი დღე-ღამით.

მზის, ანუ ტროპიკული წელიწადის ამგვარი გაანგარიშება შესაძლებელი გახადა ევდოქსი კრიდესელის (408-335 წ.წ.) მეცნიერულმა გამოკვლევებმა, რომელმაც არგუმენტულად დაასაბუთა მზის სისტემის პლანეტების საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვა.

სამწუხაროდ, ამ საეტაპო მეცნიერულ დასკვნას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც ასეთი აზრის მატარებლებს 20 საუკუნის შემდეგაც კი კოცონზე წვავდა.

ზუსტი კალენდარი ფასდაუდებელი შენაძენია კაცობრიობის წარსულის, მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესასწავლად. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო დიდი ფონტიპიკის მუციუს სცევოლას (ძვ. წ. აღ.-ის მე-2 საუკუნე) მეცნიერული შრომები. კერძოდ, მისი 80 წიგნისაგან შემდგარი ''დიდი მატიანე''.

ძვ. წ. აღ.-ის 46 წელს იულიუს ცეზარმა მოიწვია დიდი ეგვიპტელი მოაზროვნე სოზიგენი და არსებული კალენდრის სრულყოფა დაავალა. სოზიგენმა ღირსეულად შეასრულა დავალება და კალენდრის ჭეშმარიტად უნიკალური სისტემა შექმნა.

მან წელიწადის ხანგრძლივობა განსაზღვრა 365,26 დღე-ღამით, ხოლო ყოველი მეოთხე წლის ხანგრძლივობა 29 დღით. ეს იყო ნაკიანი წელიწადი, რომლის თებერვლის თვის 24 რიცხვი ორჯერ აღინიშნებოდა.

სოზიგენის ამ კალენდარსა (იგივე იულიუსის კალენდრის) და ტროპიკულ წელიწადს შორის სხვაობა შეადგენდა 44 წუთსა და 46 წამს. რაც საუკუნეთა მანძილზე არსებით სხვაობას იძლეოდა კალენდარსა და რეალურ ტროპიკულ წელიწადს შორის.

სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხს არ ჰქონიათ და ახლაც არა აქვთ წელთაღრიცხვის დაწყების წელთა ათვლის დადგენილი საერთო საწყისი დრო და თარიღი. იმპერატორს ავგუსტუსის დროს რომაელებმა წელთა ათვლა დაუკავშირეს რომის დაარსების თარიღს _ 753 წელს. თვეები დაჰყვეს დეკადებად (სამ დეკადად), კვირეებად, კალანდებად და იდუსებად.

იულიუსის კალენდარსა და ტროპიკულ წელიწადს შორის არსებული თუნდაც მცირედი განსხვავება, მომავალში გადახედვასა და სათანადო შესწორების შეტანას მოითხოვდა. ამ მიზნით რომის პაპმა გრიგოლ VIII-მ 1582 წლის 4 ოქტომბრის მომდევნო დღედ 15 ოქტომბერი გამოაცხადა. ამით გასწორდა 16 საუკუნის მანძილზე იულიუსის კალენდრის მიხედვით რეალურ ტროპიკულ წელიწადთან არსებული 10 დღიანი ჩამორჩენა. რომელიც ყოველ 128 წელიწადში ერთი დღე-ღამის ცდომილებას იძლეოდა. ახალი გრიგორიანული კალენდარი კი ასეთ სხვაობას მხოლოდ 3300 წლის შემდეგ მოგვცემს.

მეტი სიზუსტის მისაღწევად პაპმა, ყოველ 400 წელიწადში ერთხელ სამით უფრო ნაკლები ნაკიანი წელიწადი დააწესა, რის შედეგადაც ცდომილება რეალურთან შედარებით მცირდება და იგი მხოლოდ ორი წამია.

გრიგორიანული კალენდრის თანახმად ნაკიანად არ ჩაითვლება 1700, 1800, 1900 და 2100 წლები.

დიდხანს რჩებოდა გადაუწყვეტელი, თუ საიდან უნდა დაეწყო კაცობრიობას წელთა ათვლა. ასტრონომიული, ანუ მზის კალენდრის თანახმად, რომელიც 25 საუკუნის წინ დამკვიდრდა, წელთა ათვლის საეტაპო თარიღად მიჩნეული იყო ახალ წელთაღრიცხვამდე 4713 წელი.

ფართო მასშტაბით, წელთა აღრიცხვის საერთო ეტაპის დამკვიდრების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლული ბერის, დიონისეს გამოკვლევებს, რომელმაც დაადგინა იესო ქრისტეს შობის თარიღი, რაც ქრისტიანული ეკლესიის მიერ იქნა დაკანონებული. ამიერიდან ახალი წელთაღრიცხვის დაწყება დაუკავშირდა იესო ქრისტეს დაბადების დღეს.

თავად ტროპიკული, მზის სისტემაზე დაფუძნებული იულისის კალენდარი ქრისტიანული სამყაროს მიერ აღიარებული იქნა 325 წელს, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება გრიგორიანულ კალენდარს, იგი მალევე იქნა მოწონებული და შემოღებული წამყვან კათოლიკურ ქვეყნებში: იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ხოლო გერმანიასა და ინგლისში XVII-XVIII საუკუნეებში. რუსეთში გრიგორიანული კალენდარი შემოიღეს 1918 წელს. ამ დროისათვის ცდომილება (ჩამორჩენა) იულიუსის კალენდართან მიმართებაში უკვე 13 დღე-ღამე იყო. ამიტომ რუსეთში 1 თებერვალი 14 თებერვლად გამოაცხადეს.

ამავე წლის მაისში ასეთივე რეფორმა გატარდა საქართველოში. თუმცა, ისევე როგორც რუსული, ასევე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ახალ წელთაღრიცხვაზე არ გადასულა. შესაბამისად, ქრისტიანულ-რელიგიური დღესასწაულები და ღირსშესანიშნავი დღეები კვლავ ძველი სტილით აღინიშნება.

1927 წელს საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ მეოთხე საეკლესიო კრებაზე დააყენა საკითხი ახალ წელთაღრიცხვაზე გადასვლის თაობაზე. მაგრამ იმის გამო, რომ ხალხი ყოველივე ამას კომუნისტურ ზეწოლად თუ ზეგავლენად მიიჩნევდა, საკითხი დადებითად არ გადაწყდა.

პირველი ათასწლეულის შუა ხანებამდე საქართველოში ჩვენი წინაპრები მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ, რომლის თანახმად წელიწადი 12 თვეს, შესაბამისად 354 დღე-ღამეს მოითვლიდა.

ძვ. წ. აღ.-ის V საუკუნიდან საქართველოში უკვე მზის სისტემის უფრო ზუსტი კალენდარი მკვიდრდება, ხოლო I საუკუნიდან ძალაში შედის იულიუსის ნაკიანი წლის კალენდარი, რომლის მიხედვით წელიწადი შედგებოდა 12 თვისაგან, ხოლო ყოველი თვე 30 დღისაგან. ამ სისტემის ქართული კალენდრის თანახმად ყოველი წლის ბოლოს აღურიცხავი რჩებოდა 5 დღე და 6 ღამე.

იულიუსის კალენდრის შემოღებიდან საქართველოში ახალ წელს იწყებდნენ აგვისტოდან, ხოლო ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სექტემბრის თვიდან.

XIII-IX საუკუნეებში საქართველოს კალენდარში მკვიდრდება ქორონიკული ერა და მარტის თვის წელიწადი. ქორონიკული ერა ითვალისწინებდა წელთა აღრიცხვას 532 წლიანი ციკლით, რასაც მოქცევა ეწოდებოდა.

მარტისა და იანვრის თვის წელიწადების შემოღებამდე საქართველოში მიღებული იყო ტრადიციული ქართული 5604 წლიანი და ბიზანტიური 5508 წლიანი ერით წელთა ათვლა, ანუ ეს ის თარიღებია, როდესაც ქართველთა და ბერძენთა აზრით, სამყაროს შექმნიდან ახალი ერის დაწყებამდე გასული იყო შესაბამისად 5604 ან 5508 წელიწადი.

უძველესი დროიდან საქართველოში იყენებდნენ დღეებისა და თვეების ქართულ დასახელებებს, რაც რიგი მეცნიერების აზრით შუმერებისა და ქართველთა შორეული წინაპრების, ქალდეველებისაგან მოდის. დღეთა უძველესი ქართული სახელებია: მზისა-კვირა, მთოვარისა _ ორშაბათი, არიასი _ სამშაბათი, ერმისა _ ოთხშაბათი, აფროდიტესი _ ხუთშაბათი, დიოსისა _ პარასკევი, კრონოსისა _ შაბათი. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ კი საქართველოში მკვიდრდება დღეების ებრაული დასახელება _ კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი.

ძვ. წ. აღ.-ის VII საუკუნიდან ქართული დასახელების პარალელურად ხდება თვეთა რომაული (ლათინური) სახელწოდებების შემოღება, რაც დღემდე იხმარება.

ამასთან ქართველებს დღესაც კარგად ახსოვთ გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიც, როდესაც უფროსი თაობა იყენებდა თვეების ქართულ დასახელებებს. კერძოდ, ივანობისთვე _ ივნისი, კვირიკობისთვე _ ივლისი, მარიამობისთვე _ აგვისტო, ენკენისთვე _ სექტემბერი, მწიფობისთვე _ ოქტომბერი, გიორგობისთვე _ ნოემბერი, ქრისტეშობისთვე _ დეკემბერი.

მრავლისმთქმელი და მიმანიშნებელია ის ფაქტი, რომ ძველ რომაულ და ქართულ კალენდრებში დღეების სახელწოდებები გამოიყენებოდა იგივე სახელითა და ღვთაებათა მინიშნებით, როგორიც ეს შუმერებსა და ქალდეველებს ჰქონდათ.

*მოამზადა დემურ დადიანიძე*

სპორტი

## თამარ ბიბილეიშვილი კვლავ წარმატებულია

2015 წლის 28 ნოემბერს, პოლონეთში, ქალაქ ბიტომში, ჩატარდა კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია ''შინ-კიოკუშინკაი''-ს ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინ-კიოკუშინკაი კარატეს ეროვნული ფედერაციის ნაკრებმა გუნდმა. მის შემადგენლობაში მიწვეული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი მიხეილ ქანთარია) კარატეს ჯგუფის წევრი, თამარ ბიბილეიშვილი.



აღნიშნულ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი და დაიკავა გუნდური მე-3 ადგილი.

ქალთა შორის 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ტრადიციულად წარმატებით იასპარეზა თამარ ბიბილეიშვილმა, რომელმაც დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი.

2014 წელს თამარმა ამავე ჩემპიონატზე პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ვულოცავთ თამარ ბიბილეიშვილს წარმატებას.

2016 წელს კარატისტები მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში 18 წლამდე და 18 წლის ზემოთ ასაკის სპორტსმენთა შორის, რუსეთში, ყაზახეთსა და იაპონიაში.

*მიხეილ ქანთარია*

## იმედისმომცემი თავდამსხმელი N:10

ფეხბურთს 4 წლის ასაკიდან თამაშობს. ამჟამად 13 წლისაა, სამტრედიის მეოთხე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე. კახი კალაძე, რონალდო მისი საყვარელი, მისაბაძი ფეხბურთელებია.

ლუკა შენგელიას წარმატებებით ''სამტრედიის მაცნე'' სხვა დროსაც დაინტერესებულა.



სამტრედიის ''სამტრედია'' 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ის გუნდია, სადაც იგი თამაშობს. პირველ მწვრთნელს, ბატონ ტარიელ დვალიშვილს, მწვრთნელებს ევგენ დოლიძესა და ნოდარ ჩიგოგიძეს უმადლის ყველა მის მიღწევას.

ლუკას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში და შესაბამისი ჯილდოებიც დაუმსახურებია.

ამას წინათ ლუკა რედაქციაში გვეწვია და გუნდის წარმატებებზე მოგვიყვა.



II ადგილი გვხვდა წილად 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკებში იმერეთის ღია ჩემპიონატზეო, _ გვითხრა ლუკამ. მან გუნდის, ასე ვთქვათ, უხვგოლიანი წევრები თორნიკე მეფარიშვილი, დათა შარია, კარლო აფშილავა დაასახელა, მათ შორის ერთ-ერთი თავადაცაა, რომლებსაც 12 თამაშიდან ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. რაც შეეხება, ბურთების სხვაობით ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდს ვუსწრებთო, აღნიშნა მან.

როცა ლუკა თურქეთში, იქ მცხოვრებ დედასთან იმყოფებოდა, მისი თამაშით მოხიბლულებმა ურჩიეს ჩასულიყო იქ და მონაწილეობა მიეღო სტამბულში ბაშაკ კშეირის სახელობის ფეხბურთის აკადემიაში შესარჩევ თამაშში.

ამ დღეებში ლუკა თურქეთში მიემგზავრება, ბატონმა ნოდარ ჩიგოგიძემ მოიწონა ჩემი გადაწყვეტილებაო _ გვითხრა მან.

წარმატებებს ვუსურვებთ იმედისმომცემ ახალგაზრდას, რომლის აქტიურობით, ლამაზი თამაშით აღფრთოვანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი შენგელიამაც გამოხატა.

*ლევან გაბეჩავა*

# ტოლერანტობის და სათნოების დიდი სახლი

წერილში მინდა მოგიყვეთ, იმ სასწავლო კერაზე, სადაც იმჟამად განათლებას იღებდა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენელი. საუბარია სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის პედკოლექტივსა და მოსწავლეებზე, რომლებიც განფენილია მთელი მაშინდელი კავშირის მასშტაბით. სკოლას უძღვებოდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ტატიანა მიხეილის ასული გეგუჩაძე, რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე. სხვადასხვა დროს ის იყო რკინიგზის № 23 საშუალო სკოლის და ქალაქის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, სამტრედიაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე. მას სამართლიანად უწოდებდნენ ''მასწავლებელთა მასწავლებელს''. იმჟამად დაწყებით კლასებში უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგების ნაკლებობა იყო. ის მაქსიმალურ მზრუნველობას, ძალას და ენერგიას არ იშურებდა, რომ დაწყებითი კლასის პედაგოგებს უმაღლესი განათლება მიეღოთ. განათლების დარგში შეტანილი წვლილისთვის, ამ სფეროში უმწიკვლო მუშაობისთვის, მინიჭებული ჰქონდა არაერთი სახელმწიფო ორდენი და ჯილდო.

სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ვორონოვაჯორბენაძე, რუსული ენისა და ლიტერატურის კორიფე, სიდარბაისლით და დედობრივი მზრუნველობით გამორჩეული ქალბატონი, გაკვეთილის გადმოცემის გამორჩეული მანერით. ისტორიას გვასწავლიდა მამია ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე, უაღრესად ერუდირებული პიროვნება, მოსწავლეების ჭეშმარიტი მეგობარი, დიდთან დიდ, პატარასთან პატარა. ის სხვადასხვა დროს იყო ქალაქის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი, შემდეგ წლების მანძილზე რუსული საშუალო სკოლის დირექტორი.

პავლე ლავრენტის ძე შენგელია _ მათემატიკის მასწავლებელი, მისი უბადლო მცოდნე. იყო სამამულო ომის მონაწილე. ქვეყანაზე, მამულზე შეყვარებული ადამიანი.

ზედა კლასებში ისტორიას გვასწავლიდა ლიანა ილარიონის ასული შეწირული. მას ახასიათებდა გაკვეთილის ჩატარების თავისი ხელწერა. მე ვიტყოდი, ჩემს მეხსიერებაში მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები გახლდათ ცოცხლად ჩატარებული გაკვეთილის მაგალითი. გაკვეთილის მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა მთელი ჯგუფი, კითხვას სვამდნენ მოწაფეები და თავადვე პასუხობდნენ. მოსწავლეებს შორის სუფევდა ცხოველი ინტერესი საქმისადმი.

აქვე ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: 1966 წელს სტუდენტი გავხდი. ლექციების შემდეგ რამდენიმე თანაკურსელთან ერთად რუსთაველის გამზირზე, ლალიძის წყლებიდან გამოსულები მეტროსაკენ ფეხით გავემართეთ. როდესაც ილიასა და აკაკის ძეგლს მივუახლოვდით, შევნიშნე თბილისის № 1 საშუალო სკოლიდან (ყოფილი გიმნაზია, სადაც ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა მოღვაწენი სწავლობდნენ) გამოვიდნენ ქალბატონი ლიანა შეწირული, იმჟამად ამ სკოლის დირექტორი და ნათელა ვასაძე, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. ისინი საუბრით მოემართებოდნენ. მე მისვლა ვერ გავბედე, მომერიდა, რადგან მარტო არ იყო. ჩვენ მოგვიახლოვდა, შემნიშნა, შემიცნო, ჩემსკენ გამოემართა. ერთმანეთს მივესალმეთ, მკითხა გამოცდები სად ჩავაბარე, სტუდენტობა მომილოცა და წარმატებები მისურვა. ეს იყო პედაგოგის მოწაფისადმი გულისხმიერების გამოხატულება, რასაც დღემდე მადლიერებით ვიგონებ. ღირსეული პედაგოგი, დედა, უკვე ბებია, დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, რომ სკოლის კურსდამთავრებულები განფენილია იმჟამინდელი კავშირის მასშტაბით. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მხოლოდ დავასახელებ მათ, ვინც ამჟამად სამტრედიაში მოღვაწეობს და მედალოსნები იყვნენ: ნათელა ვაშაკიძე, ექიმი; ლიდა ჯანელიძე, ინჟინერი; თამაზ სპირანტი, ექიმი; ზურაბ ხაჟალია, ინჟინერი; გურამ მშვიდობაძე, ექიმი; თემურ სიხარულიძე, იურისტი; მედეა ახობაძე, ექიმი.

აქვე მინდა, საზოგადოებას შევახსენო დიდი ნიკო ნიკოლაძის შეგონება, ის სვამდა კითხვას: ნუთუ ბატონ ილია ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერს და ნამდვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნებით გამოზრდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზრდობა. კაცი იყოს, თორემ, სადაც არ უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება. მხოლოდ უსუსურს, სადაც არ უნდა სწავლობდეს, ხეირის მოტანა არ შეეძლება...'' ჩვენი კლასი იყო ამ სკოლის 25-ე გამოშვება.

გია გოჭორიშვილი

## ირა ექიმი სამტრედიას მოუკვდა...



პირადად არც კი ვიცნობდი. ალბათ, სწორედ მაშინ აშკარავდება ადამიანის, პიროვნების დიდბუნებოვნობა, როცა უცნობნიც კი დამწუხრდებიან მისი გარდაცვალებით, მაგრამ _ ვისთვის იყო ქალბატონი ირა მიქაშავიძე უცხო?! იგი გასცემდა სიკეთეს, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდა. ეხმარებოდა უპოვარს და ეს არ იყო მატერიალურობასთან გაიგივებული ქმედება. როგორც იგონებენ, მოვალეობად მიაჩნდა, ეკეთებინა ყოველივე _ უხმაუროდ. ''გააკეთე ის, რაც ღირსია ჯილდოსი, მაგრამ ნუ ეძიებ მას''. _ ამ სიტყვებში ჩაეტევა ირა მიქაშავიძის ცხოვრების არსი, მიზანი, ანუ მუდამ სიკეთის ქმნა და საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრი.

მადლიანი ქალბატონიო, რომ იტყვიან, არაფერზე მოწმობს, გარდა ხანმოკლე წუთისოფელში დათესილი სიყვარულისა. რამდენი ცრემლი ჰყვებოდა მის გამომქომაგებლობაზე, გამომხსნელობაზე, მწყალობლობაზე...

ერთისთვის ანთებულ სანთლად ქცეული მრავალს უნათებდა გზასავალს, თავად კი _ იწვოდა, იღვენთებოდა... ქალბატონი ირას ფასეულობები ემყარებოდა ქრისტიანული ჰუმანიზმის ძირითად პრინციპებს. ''გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი'', _ ერთი წინადადებით გამოითქმება მთელი ზნეობრივი კანონი ადამიანისა, რომელსაც უფლება აქვს, გარდაცვალების შემდეგაც იცოცხლოს. მართალია, იგი იყო საპატიო სამტრედიელი, მაგრამ ყველაზე დიდ პატივად და რეგალიად გადარჩენილი სიცოცხლის პასუხად თქმული მადლობა მიაჩნდა, ალბათ.

რომან ბექაიას უნიკალურ არქივში აკინძულ კადრებად იკითხება სამტრედიის ისტორია. ექიმი ირა მიქაშავიძე _ ასე მიუწერია ფოტოხელოვანს სურათზე, ერთ სათნო სახეს რომ ინახავს. ''ვინც კვდება, თავისთავს უკვდებაო'', _ უთქვამს პოეტს. ირა მიქაშავიძე ქალაქს, თითოეულ სამტრედიელს მოუკვდა.

ნათელში იყოს!

შოთა პაპავა



შევჩენკოს ქუჩის უახლოესი მეზობლები მწუხარებით იუწყებიან

**ჟუჟუნა ჯანჯღავა-სტურუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



შევჩენკოს ქუჩის უახლოესი მეზობლები გულისტკივილით იუწყებიან

**სულიკო შენგელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

სოსო პაპავა ოჯახით თანაუგრძნობს შენგელიების ოჯახს ბატონი

**სულიკო შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

## დეკანოზი გიორგი (იოსებაშვილი) გარდაიცვალა



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 58 წლისა გარდაიცვალა **დეკანოზი გიორგი _ (ირაკლი ვასილის ძე იოსებაშვილი).**

1957 წელს ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში დაიბადა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ მცხეთის სასულიერო სემინარია დაამთავრა. მამა გიორგი დიაკვნად მსახურობდა მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ხოლო შემდეგ მოწამეთას მონასტერში.

1987 წელს აღყვანილ იქნა სამღვდელო ხარისხში და ღანირ-ჭაგნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღოლია.

2002 წლიდან გარდაცვალებამდე დეკანოზი გიორგი სამტრედიის ანდრია პირველწოდებულის სახელობის მონასტერში მოღვაწეობდა.

1 დეკემბერს რაიონის საზოგადოებამ, სასულიერო პირებმა, სულიერმა შვილებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს მამა გიორგი.

მოწიწებით ვხრით თავს დეკანოზ გიორგი იოსებაშვილის ხსოვნის წინაშე და თანავუგრძნობთ მის ახლობლებს, ხონი-სამტრედიის ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირებსა და დეკანოზის სულიერ შვილებს.

ნათელში იყოს.

ლევან გაბეჩავა

ყაზბეგის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ლუიზა მახარაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ვენერა პაპავას დის,

**ლილი პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა ტერელაძის ოჯახი თანაუგრძნობს ვენერა პაპავას, რუსუდან, მზია ჩხენკელებს დისა და დეიდის

**ლილი პაპავას**

გარდაცვალების გამო.

ვაჟა ტერელაძის ოჯახი თანაუგრძნობს არველაძეების ოჯახს, ბატონი

**ჯონი არველაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ეთერ არველაძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

---

მე-11 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელები და დამრიგებელი ხათუნა ჩხიკვაძე, თანაუგრძნობენ ზაურ ჯანელიძეს

**ბაბუის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს დავით ჩირგაძეს მამის,

**გიგლა ჩირგაძის**

გარდაცვალების გამო.



სულიკო კლდიაშვილი, ამირან და ირაკლი პაპავები ოჯახებით, მწუხარებით იუწყებიან

**ალექსანდრე (ზაური) ჩაჩუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.









**ლევან გაბეჩავას!**

თითქოს სიმბოლურად, დაბადების დღეს კმაყოფილი, აღფრთოვანებული რესპონდენტი ეწვია და პატივისცემის ნიშნად კალამი აჩუქა, _ ეს პროფესიონალის ხელში უნდა იყოს, ნივთმა თავად იპოვა პატრონიო, _ დასძინა რესპონდენტმა.

ასეთი თბილი დამოკიდებულება მისადმი არაერთ ჩვენს თანაქალაქელ თუ არათანაქალაქელ ინტელიგენტს გამოუხატავს. იგი ჩვენი რედაქციის კი არა, ჩვენი მუნიციპალიტეტის პატივსაცემი პიროვნებაა. პრეზიდენტის მიერ ბოძებული ღირსების მედალიც რომ არ დავიმოწოთ, უკვე მოიპოვა ღირსეული მკითხველის პატივისცემა.

ჩვენი რედაქციის „იუმორის მამას", მახვილსიტყვაობის დიდოსტატს, ერთგულ და საიმედო კოლეგას, ლევან გაბეჩავას დაბადების დღეს ვულოცავთ. ჩვენს გვერდით დიდხანს გეშრომოთ და გელვაწოთ. ღმერთმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ!

*„სამტრედიის მაცნე"*

სამტრედიის რაიონის ვეტერანთა კავშირი ულოცავს დაბადების დღეს ბატონ ლევან გაბეჩავას. უსურვებს ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას ოჯახის წევრებთან ერთად.



**ბატონ გიორგი კაკიანს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

უფალი გფარავდეთ!

*„სამტრედიის მაცნე"*

**იმედა გოგავას!**

კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს და ბედნიერებას გისურვებთ. ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ და მიღწევები არ მოგკლებოდეთ არც ერთ სარბიელზე.

*„სამტრედიის მაცნე"*

**მერაბ უღრელიძეს!**

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. წელთა სიმრავლე, სიხარული და წარმატებები მოეტანოს თქვენთვის ყოველ წელიწადს.

უფალი ყოფილიყოს თქვენი ოჯახის შემწე.

*„სამტრედიის მაცნე"*

**ნანა ფოცხვერიას!**

ბედნიერ დედობად, ოჯახის დიასახლისობად, წელთა სიმრავლედ დაგებედოს ყოველი დაბადების დღე. გილოცავთ, გამრავლდი და გაიხარე.

*„სამტრედიის მაცნე"*

**გია დარახველიძეს!**

20 წლის შესრულებას გილოცავთ ჩვენი გაზეთისთვის ძალიან საყვარელ ადამიანს. წარმატებები დაგებედოს მზეგრძელი ცხოვრების გზაზე. დიდხანს ყოფილიყოს სახელოვანთა რიგებში ჯგუფი „ლადი" და მისი წევრი გია დარახველიძე. ყველა ჩვენი კეთილი სურვილი აგსრულებოდეს.

*„სამტრედიის მაცნე"*



გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყველა საუკეთესო სურვილის ასრულებას. ჩვენთან ერთად შორს გაგეტანოს ჩვენი პატარა ქალაქის და ქვეყნის სახელი.

*ჯგუფი „ლადი"*

**გია მელქაძეს!**

დიდი სიყვარულით, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. უღალატო მეგობარს, კარგ ადამიანს, ბედნიერებას, სიხარულს და ჟამის სიდიდეს გისურვებთ.

*პაპავები*



## ნინი ბადურაშვილს სამტრედიამ უმასპინძლა

განახლებულმა ტურნემ _ ნინი ბადურაშვილის სოლო კონცერტების სახით, 3 დეკემბერს ხონში აიღო სტარტი. სამტრედია რიგით მეორე გახლდათ. ის დღე იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ მომღერალმა ბავშვობის მოგონებებში იმოგზაურა, ხშირად ვსტუმრობდით სოფელ ეწერსო, _ აღნიშნა.

პროექტის ორგანიზატორის, სოფო სვანიძის თქმით: „ამ სახის კონცერტებს ჯერ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ვატარებთ. ვიმედოვნებთ, მალე მთელ ქვეყანას მოვიცავთ. ადგილობრივ ხელისუფლებასა და კულტურის სამსახურს, მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს, ვუხდი დიდ მადლობას. დღევანდელ კონცერტში ნინი ბადურაშვილთან ერთად მონაწილეობს 12 წლის უნიჭიერესი მომღერალი, არაერთი ფესტივალის გამარჯვებული, სოფო მაისურაძე. შევიტყვეთ ისიც, რომ სამტრედიაში არსებობს შოუ-ბალეტი „ფანტაზია". ჩვენი სურვილი იყო მისი ჩართვაც. მგონი, ჩანაფიქრმა გაამართლა, მაყურებელი, მსმენელი კმაყოფილია.

ძველ, კარგად ნაცნობ სიმღერებთან ერთად, ახალი რეპერტუარიდანაც გააჟღერა რამდენიმე ნომერი ნინი ბადურაშვილმა. სცენაზე ბავშვები იხმო და ააჟრიამულა გარემო.

ნინი ბადურაშვილი: „განსაკუთრებული გრძნობა მაქვს ამ ქალაქის მიმართ. ბავშვობიდანვე ხშირი სტუმარი გახლდით სამტრედიისა, ეწრისა. აქ სტუმართმოყვარეობა რომ არავის ეშლება, დღევანდელმა დღემაც ცხადყო. აღფრთოვანებული ვარ აქაური მასპინძლობით. ყველაზე მეტად ბავშვების, ახალგაზრდების სიმრავლე მხიბლავს. ვგრძნობ, მათ უყვართ ჩემი შემოქმედება. ვცდილობ, იგივე გავიღო მსმენელისათვის!"

*შოთა პაპავა*



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა